საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლოესია.

ოთხშაბათი, 19 ივლისი. 2017 წ. №144 (8281), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

წარსულის ქურდები

პათოლოგიური ისტორიზმი,

ანუ მიტაცებული ძეგლები და წაშლილი მატიანე

⑤

„დღეს გვიანია, ბატონო რამაზ, ④ ხვალ დილიდან გავქლიერდებით!“

„ობიექტივის“ ერთი გადაცემის შესახებ

იმ დროს, როცა ტრამპი ტვიტერში წერით ერთობა, პუტინი თავის მეზობლებს აშინებს!

⑦

კვიციანი „წინასწარმეტყველებს“...

იგეგმება ვანო ჯავახიშვილის მკვლელობა!

საქართველოს პარლამენტის წევრი ემზარ კვიციანი სოციალურ ქსელში სკანდალურ განცხადებას აქვეყნებს. „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატი წერს, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ში მკვლელობა იგეგმება და სავარაუდო მსხვერპლი შესაძლოა, ვანო ჯავახიშვილი იყოს, რომელიც, ასე თუ ისე უნიჭო მასხარა არ არის!..

აქცენტები „აქცენტებზე“

ირაკლი კორძაია პარიზიდან თაღლითობს,

ანუ ბნელი სიცარიელე...

ჯერ ერთი, მიკვირს და გამკვირვებია, თუ სამართალდამცველთ დამნაშავის ციხეში შეყვანა შეუძლიათ, უკეთუ საგამოძიებო საქმის საჭიროება მოითხოვს, ვინ წაართვა სამართალდამცველთ იმის უფლება, რომ პატიმარი, თანაც კარგა გვარიანი პოლიტიკური ღლავი, ციხიდან გარკვეული დროით გამოიყვანონ დასაკითხად?! ლაპარაკია პოლიტიკურად ისეთ თავგასულ დამნაშავეზე, როგორიც ვანო მერაბიშვილია, რომელიც სააკაშვილისგან გავირთამამებული პირდაპირ, დაუფარავად ითხოვდა, დღეს ამდენი და ამდენი მკვდარი მომიტანეთო, ხოლო ქუჩაში უსამართლობის წინააღმდეგ გამოსული ხალხის დასარბევად კარგი ამირსპასალარივით მუდამ წინ უძღოდა თავპირშენიღბულ ნამუსდაკარგულ, პოლიტიკურად ბეც პოლიციელთ.

კი, ბატონო, თუ რომელიმე უხეირო კანონი მართლა არ ითვალისწინებს პატიმრის ციხიდან გაყვანას, გასაგებია, რომ მართლმსაჯულების მხრივ რაღაც შეცდომასთან თუ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ რატომ გამოვრიცხავთ იმ ამბავს, რომ ისეთი პროვოკაციული ბუნების კაცს, როგორიც ვანო მერაბიშვილია, სწორედ სასკანდალოდ და სამამაძაღლოდ მოეგონებინა ასეთი „სიბრძნე სიცრუისა“, ანდა სულაც თანაპარტიელ ნაციონალებს ეკარნახათ არცთუ დიდად გონებაგანათებულ ვანუასთვის ამდაგვარი ვირეშმაკობა, რა არის, თვით სტრასბურგისთვის მიეწვდინათ თავიანთი ბინძური მონაჭორი. სტრასბურგი კი, მოგეხსენებათ, მარტო ანგელოზთაგან არ შედგება. იქ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ეშმაკიც ურევს თავის გამწვანებულ ამა თუ იმ კიდურს...

აი, სწორედ ამ ეშმაკის ძმაკაცი თუ ქვეშევრდომი გამოჩნდა ამ დღეებში ვინმე კორძაიას სახით, რომელიც „ვანოს გაყვანის“ დროს იმ ციხეში ადმინისტრაციის უფროსი ყოფილა და თვითონ სასჯელაღსრულების მინისტრთან ახლო მეგობრობაც ჰქონია. როგორც ჩანს, ციხის საქმეებში ამ კარგა გარკვეულ კორძაიას ქვეყნიდან გაქცევის თადარიგი მაშინვე დაუჭერია, ჯიბეც გვარიანად გაუმწვანებია, თორემ საფრანგეთში კი არა, ამჟამინდელი ქართველობის უმეტესობა საკუთარ სოფელში ვერ ჩასულა აქვე, საქართველოში, წინაპართა საფლავების მოსანახულებლად.

მთელი ხუთწლიანი დუმილის შემდეგ პირზე კლიტედადებული კორძაია, რატომღაც „ცრუსთავი-2“-ს დაუკავშირდა და უკვე თემებგამოლეულ კვესიტაძის ქალსაც (უტიაშვილისას) მეტი რა უნდოდა! ხელად გამოხანხლა თავისი გაუჩინარებამდე გახუნებული „აქცენტები“. ჩვეულებისამებრ მცდელობა არ დაუკლია ეკუნიას იმის დასამტკიცებლად, რომ კორძაია მერაბიშვილის ციხიდან „გაყვანის“ თვითმხილველად გაესაღებინა გულუბრყვილო მსმენელისა თუ მაყურებლის თვალში, მაგრამ თვითონ პარიზულად გათაღლითებულმა კორძაიამ ვერ „იკადრა“ თუ ვერ „გაბედა“ იმის აღიარება, მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაიყვანეს ციხიდან მერაბიშვილი, რათა როგორმე დაეცდენინებინათ ჟვანიას მკვლელობის დღემდე საეჭვოდ მიჩქმალული საიდუმლოებაო.

კვესიტაძის მხრიდან ბევრი საგამომძიებლო ილეთების მიუხედავად, კორძაიასაგან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ეს „ზღაპარი“ თურმე დილით თვითონ სუბარისგან გაიგო, რაც სუბარმა, ცხადია, არ დაადასტურა.

ესეც შენი „აქცენტები“ და ესეც შენი ახალი „მამხილებელი“ კორძაია. რასაკვირველია, არაკაიკაცობისთვის სამშობლოდან გაქცეული, რომელიც, რა თქმა უნდა, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ისევ რაღაც გამორჩენის (პოლიტიკური თუ ფინანსური) მიზნით აჭიკჭიკდა უკვე გაევროპელებული ყალთაბანდის ხმაზე.

აქ უპრიანია ერთი ცნობილი იუმორისტის აზრის მომარჯვება: როგორც მთლიანად „ცრუსთავი-2“ის, ისე კვესიტაძის აშკარად ანტისახელმწიფოებრივი თუ ანტისახელისუფლებო გადაცემებში მთელ სიცრუეს თუ წავშლით, სულ ტყუილად იფიქრებთ, რომ ხელთ მხოლოდ ვიღაცის თუ რაღაცის მამხილებელი სიმართლე შეგრჩებათ, პირიქით, ბნელი სიცარიელის წინაშე აღმოჩნდებით.

გურამ წიკლაური

ხალხი რას არ იტყვის...

– ფულზე მუდამ უფრო კარგს ფიქრობენ, ვიდრე თვითონ ფულის მფლობელზე.
– ეკონომია ფულის ხარჯვის ხელოვნებაა, რომლისგანაც არავითარ სიამოვნებას არ იღებ.
– ეკონომიას დავიწყებდი, მაგრამ ამისთვისაც კი არ მყოფნის სასტარტო კაპიტალი.
– მილიონერები ფულს ხარჯავენ, მილიარდერები ისტორიას ქმნიან.
– ლაზიერი რომ ხდება, პაიკს თავისი საგვარეულო ავიწყდება.
– თუ სულ მუდამ უფსკრულის პირას დგახარ, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მუდმივი მისამართი გაქვს.
– ჩვენს ცხოვრებაში იმდენი რამ არის სასაცილო, რომ ტირილი გინდება.
– უმრავლესობა ოცნებობს ისეთ ცხოვრებაზე, როგორც უმცირესობა ცხოვრობს.



ირაკლი ვაშაყმაძე

დედამიწის საგოდებელი

(რეკვიემი) ⑥

სტრატეგიული ვიზიტი

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა თბილისში, პრეზიდენტის სასახლეში დელეგაციების თანხლებით გაფართოებულ ფორმატში გამართეს შეხვედრა.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის წევრები – საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე, ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე, პრეზიდენტის საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე, პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე, საქართველოს ელჩი უკრაინაში გელა დუმბაძე ესწრებოდნენ, საქართველო- უკრაინის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პეტრო პოროშენკოს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უკრაინის უწყვეტი მხარდაჭერისათვის. და თავის მხრივ ქართველი ხალხის სახელით დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

შეხვედრისას ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე და გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთის ოკუპაციური პოლიტიკის შეფასებისა და მკაფიო მესიჯების ჩამოყალიბებისაკენ.

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარება, განათლებისა და კულტურის დარგში ურთიერთობების გააქტიურება – ეს განსახილველი საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომელზეც საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტებმა სახელმწიფო დელეგაციებთან ერთად ისაუბრეს.

თანამშრომლობის დეკლარაცია ხელმოწერილია

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ“.

გუშინ ასევე ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.

ერთობლივი დეკლარაცია მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას და საერთო ინტერესებისა და ქვეყნების წინაშე არსებული მსგავსი გამოწვევების გათვალისწინებით, მხარეებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებული მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ბატონო პეტრო, თქვენ დღეს კარგად ხედავთ იმას, რაც ქართველებმა ვნახეთ 90-იან წლებში, 2008-ში!

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პეტრო პოროშენკოსთან ორმხრივი შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ვიზიტისთვის უკრაინელ კოლეგას მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, უკრაინა ახლა კარგად ხედავს, თუ რა გადაიტანეს ქართველებმა 90-იანებში და 2008-ში.

„ჩვენ ვართ ერები, რომლებიც მზად არიან ამ არჩევანისთვის იბრძოლონ. დღეს თბილისს სტუმრობს ისტორიული ვიზიტით უკრაინის პრეზიდენტი, ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს უკრაინელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისთვის და თავისუფალი არჩევანისთვის; ბრძოლას, რომელიც ჩვენც გავიარეთ და ქართველებმაც ვაჩვენეთ, რომ ჩვენთვის ყველაზე მაღალი ღირებულება ჩვენი თავისუფლება და არჩევანის თავისუფლებაა. დღეს მართლაც მნიშვნელოვანი ვიზიტია. უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან საქართველოში სახელმწიფო ვიზიტი დიდი ხანია, არ განხორციელებულა და მე მადლობას ვუხდი ბატონ პეტროს იმისთვის, რომ მან მიიღო ჩვენი მოწვევა და ამ ვიზიტით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის თანამშრომლობას“.

შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ დოკუმენტს, რომელიც, მარგველაშვილის თქმით, ასახავს ხალხებს შორის არსებულ იმ რეალურ განწყობას, რომლის სამსახურშიც ის და უკრაინის პრეზიდენტი დგანან.

ჰოლოდომორის დროს, საქართველომ ჩემი მეუღლის ოჯახი შიმშილით სიკვდილისგან იხსნა

„ყველამ არ იცის, რომ 1933 წელს, ჰოლოდომორის დროს, ჩემი მეუღლის დიდი ბაბუა იძულებული იყო ოჯახით თბილისში გაქცეულიყო და საქართველომ იხსნა ჩემი მეუღლის ოჯახი შიმშილით სიკვდილისგან. ჩემი მეუღლის ბებია ანა ნადეჟდინა 1943 წელს სტალინგრადში მოხვდა და ევაკუირებული იყო, სად? – თბილისში. თბილისში ცხოვრობდა. მარინამ თავის დედას დაურეკა და მინდა, ეს სახლი ვნახო და მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ჩემი მეუღლის ოჯახს უშველა. ეს რჩება თაობებში და ეს მტკიცე საფუძველს აყალიბებს ჩვენი ნდობის და მეგობრობის“, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა ქართველ კოლეგასთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, უკრაინასა და საქართველოს ერთი და იგივე პრობლემა აქვთ.

„უღრმესი მადლობა მინდა, მოგიხადოთ იმ უნიკალური ატმოსფეროსთვის, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ პირველივე ნაბიჯებიდან იგრძნო. ჩვენ მეგობრებს შორის ვართ. ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ვართ. თქვენ მათ შორის ხართ, ვისაც უკრაინა ძალიან ენდობა. სასიამოვნოა, რომ თბილისში მაშინ ვიმყოფები, როცა ჩვენი სახელმწიფოები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 25 წლისთავს ოთხ დღეში აღნიშნავენ. აღდგენის, რადგან ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობები 1918 წლის 4 ივლისს დავამყარეთ. ჩვენი მტკიცე დიპლომატიური ურთიერთობების ქვეყნებს შორის ახლა 90 წელია“, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ უკრაინას მოთხოვნა არ მიუღია!

ჩვენ არ მიგვიღია მოთხოვნა სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ.

„ჩვენ გვაქვს ეფექტური კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ ჩვენ არ მიგვიღია მოთხოვნა ექსტრადირების შესახებ. შესაბამისად, არ განგვიხილავს ეს საკითხი“... მისივე თქმით, აღნიშნული საკითხის დღის წესრიგში დაყენება დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მოთხოვნაზე და ამ საკითხზე მეტი სათქმელი არაფერი აქვს.

„ჩვენ არ გვაქვს არცერთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სოციალური პრობლემა საქართველოს სახელმწიფოსთან ურთიერთობებში. ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები. უკრაინელი და ქართველი ხალხი ერთიანია ამ მომენტში. დარწმუნებული ვარ, ვერავინ და ვერაფერი გაყოფს ჩვენს ხალხს“, – დასძინა პოროშენკომ.

გიორგი კვირიკაშვილი პეტრო პოროშენკოს შეხვდა

საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ორი ქვეყნის საერთო ინტერესები და გამოწვევები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს პირისპირ შეხვედრის მთავარი თემები.

მხარეებმა ისაუბრეს სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, რაც ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებული პარტნიორობის კიდევ უფრო განმტკიცებას გულისხმობს. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობას, საქართველოსა და უკრაინის ევროპული ინტეგრაციის პროცესსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალ სამიტს, ასევე – ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და უკრაინის პრეზიდენტმა ისაუბრეს მასშტაბური საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების, ასევე – ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრისას მხარეებმა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

თბილისს არაბთა გაერთიანებული საემიროების საგარეო საქმეთა მინისტრი სტუმრობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფ არაბთა გაერთიანებული საემიროების საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრს, შეიხ აბდულა ბინ ზაიედ ბინ სულტან ალ ნაჰაიანის შეხვდა.

მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ურთიერთობების ძირითადი საკითხები. ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე და არაბთა გაერთიანებული საემიროების ბაზარზე საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის გაზრდის პოტენციალზე. საუბარი შეეხო სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო კუთხით არსებულ შესაძლებლობებს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებებს შორის ხელმოწერილი დოკუმენტების მნიშვნელობას, რაც ინვესტიციების ხელშეწყობას, ურთიერთდაცვის შეთანხმებას, ასევე დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის არაბთა გაერთიანებულ საემიროებში უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას ისახავს მიზნად.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს განათლების სფეროებში ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითის სახელმწიფოში როლანდ ბერიძე დაესწრნენ.

ჩვენი დიპლომატების შრომა გამოიხატა ჩვენი სუვერენიტეტის უპირობო საერთაშორისო მხარდაჭერაში

„რუსეთის ფედერაცია აგრძელებს მავთულხლართების და ბანერების უკანონო დამონტაჟებას. ნათელია, რომ ჩვენს მიერ დასავლეთისკენ გადადგმული პრაქტიკულად ყოველი ნაბიჯი ხდება რუსეთის მხრიდან ამგვარი აგრესიული ქმედებების მიზეზი. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი დიპლომატების დაუღალავი შრომა და ღვაწლი, რომელიც გამოიხატა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უპირობო საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებაში“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ამბასადორიალი 2017-ზე სიტყვით გამოსვლისას.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ქართული დიპლომატიის ძალისხმევით, საქართველოს ოკუპაციის პრობლემატიკა საერთაშორისო დღის წესრიგში ძალიან აქტიურად არის წარმოდგენილი.

„საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გამყარების კუთხით უმნიშვნელოვანესი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის კანონში პირველად გაჩენილი ჩანაწერი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, თუ რომელიმე ქვეყანამ აღიარა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები, იმ ქვეყნის ცენტრალური მთავრობა ვერ ისარგებლებს აშშ-ის მხრიდან გამოყოფილი დაფინანსებით. ამრიგად, ჩვენი ქვეყნისადმი და მისი სუვერენიტეტისადმი მზარდი მხარდაჭერის ფონზე, ჩვენ გვსურს, მადლობა გადავუხადოთ საერთაშორისო თანამეგობრობას და ჩვენს ძირითად პოლიტიკურ პარტნიორებს მტკიცე მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

...რომ საქართველო იყოს აღქმული, როგორც დემოკრატიული და სტაბილური ქვეყანა!

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ამბასადორიალის გახსნის მისასალმებელ სიტყვაში საანგარიშო პერიოდში საგარეო პოლიტიკის მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი შედეგები შეაფასა.

ვიცე-პრემიერმა განსაკუთრებით გამოყო ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებით გამოიხატა.

„საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ეს დიდი მიღწევა ხელს უწყობს იმ უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმატებით განხორციელებას, რომელიც საბოლოოდ გულისხმობს საქართველოს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას“ — აღნიშნა ჯანელიძემ და დასძინა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მთავრობას აქვს ამბიციური დღის წესრიგი.

მიხეილ ჯანელიძემ ყურადღება გაამახვილა ნატო-საქართველოს ურთიერთობების ინტენსიურ დინამიკაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს ალიანსის მხრიდან აქვს ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა. მისი თქმით, ქართული დიპლომატიის აქტიური ძალისხმევით, რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული უკანონო ქმედებების გამო საერთაშორისო წნეხის ქვეშ იმყოფება.

„რუსეთის მიერ გადადგმულ აგრესიულ ნაბიჯებს მკაცრი შეფასება ეძლევა გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს ფარგლებში, ასევე ჩვენი პარტნიორების მხრიდან. თუმცა რა თქმა უნდა ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ რათა მშვიდობიანი და დიპლომატიური ნაბიჯებით მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის გამთლიანება“ — აღნიშნა მიხეილ ჯანელიძემ.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა „ამბასადორიალი 2017 — შედეგებზე ორიენტირებული დიპლომატია ტურბულენტურ გარემოში“ ოფიციალურად გახსნა, რომელიც 21 ივლისს დასრულდება.

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ქვეყანა მიიღებს ევროპული ტიპის ძალიან დახვეწილ ძირითად კანონს

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ქვეყანა მიიღებს ევროპული ტიპის ძალიან დახვეწილ ძირითად კანონს. — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა ყოველწლიურ შეკრებაზე — „ამბასადორიალი 2017 — შედეგზე ორიენტირებული დიპლომატია ტურბულენტურ გარემოში“ სიტყვით გამოსვლისას. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის რეფორმის მიმდინარე პროცესი ითვალისწინებს ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დემოკრატიული პრინციპების მიხედვით გამიჯვნას, პარლამენტის უფლებამოსილების გაძლიერებას, აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და კონსტიტუციაში არსებული წინააღმდეგობების ერთხელ და სამუდამოდ დაძლევას.

„ამ რეფორმის შედეგად ქვეყანა მიიღებს ევროპული ტიპის ძალიან დახვეწილ ძირითად კანონს. როგორც ყველა სხვა ქვეყანაში და ისტორიულ ეპოქაში, ქვეყნის ფუძემდებლური დოკუმენტის შეცვლა წინააღმდეგობის გარეშე არ მიმდინარეობს. ჩვენი ამოცანაა, მოსახლეობის, პოლიტიკური წრეების, საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალური ჩართვით მივიღოთ დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარებით ისარგებლებს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა მხოლოდ დემოკრატიულ ჩარჩოებში უნდა იყოს განხილული და საქართველოს მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციაშია.

„მხოლოდ დემოკრატიული მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერით და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებით იქნება შესაძლებელი, შევაკავოთ აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, დავასრულოთ ჩვენი მიწების ოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის ნაწილების მცოცავი ანექსია, აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს სამუდამოდ დავუმკვიდროთ ადგილი მსოფლიოს ყველაზე წარმატებული და დემოკრატიული ქვეყნების გვერდით.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები ამ მიზნის მიღწევის ქვაკუთხედია“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

2012 წელს ჩვენ ბუნებრივი აირის ტარიფი შევამცირეთ 5 თეთრით

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის კახა კალაძის განცხადებით გაზის ტარიფის ცვლილება ბოლოს 2007 წელს მოხდა და ამის შემდეგ აღარ გადახედილა. კალაძე ამბობს, რომ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ და შესაძლებელია თუ არა სუფსიდირება ამაზე ენერგეტიკის მინისტრმა უნდა ისაუბროს.

„თუ არ ვცდები, გაზის ტარიფი ბოლოს 2007 წელს იყო დადგენილი და მას შემდეგ არ მომხდარა მისი გადახედვა, თუ არ ჩავთვლით 2012 წელს, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და 5 თეთრით შევამცირეთ ბუნებრივი აირის ფასი“, — განაცხადა კალაძემ.

„თქვენ ხართ მატყუარა ტელევიზია“

„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატს „რუსთავი-2“-ის გადამღებმა ჯგუფმა რესტორან ბარაკონში გასულ კვირას დაგეგმილ შეხვედრაზე ჰკითხა. შეხვედრაზე, სადაც გამგეობის თანამშრომლები და სხვა საჯარო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ მიწვეული და რომელთაც მერობის კანდიდატი კალაძე უნდა შეხვედროდა, „რუსთავი-2“-ის ინფორმაციით მას შემდეგ აღარ შედგა, რაც კალაძემ „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფის ადგილზე ყოფნის შესახებ გაიგო.

გუშინ კი კალაძემ განაცხადა, რომ რესტორანში შეხვედრა არ იგეგმებოდა და ის ამომრჩევლებს პარტიის ოფისში შეხვდა.

ვერ დამისახელებთ ქვეყანას, რომელსაც პრობლემა აქვს რუსეთთან და მარტივად აგვარებს

რუსეთთან ურთიერთობა დღესდღეობით ყველა ქვეყანას უჭირს. ვერ დამისახელებთ ქვეყანას, რომელსაც პრობლემა აქვს რუსეთთან და მარტივად აგვარებს. ამიტომ, უნდა ვიყოთ ძალიან ფხიზლად და ფრთხილად — ეს განცხადება, რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ გააკეთა. აბაშიძემ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ სიფრთხილესთან ერთად აუცილებელია სწორი და პრინციპული პოლიტიკის გატარება.

„ამავე დროს პრინციპულად უნდა გავატაროთ ჩვენი პოლიტიკა და დავიცვათ ჩვენი პრინციპები. ტურბულენტურ მსოფლიოში ვცხოვრობთ. მე იმ ასაკში ვარ, როდესაც „ცივი ომის“ დროს რა ხდებოდა, ახსოვს ჩემი თაობის ხალხს. მაშინ ასეთი სარისკო ვითარება არ იყო მსოფლიოში, იყო რაღაც კრიტიკული მომენტები, მაგრამ რაღაც თამაშის წესები მაინც არსებობდა. დღევანდელ მსოფლიოში თითქმის მოშლილია, საერთაშორისო სამართალი, წესრიგი. ნახეთ, რა ხდება ევროპაში, უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ კავკასია... ძალიან ტურბულენტურ სამყაროში ვცხოვრობთ, ამიტომ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ყველა, შევინარჩუნოთ მშვიდობა, გავუფრთხილდეთ სტაბილურობას ქვეყანაში, რეგიონში. ეს არის ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და რა თქმა უნდა, მოვაგვაროთ ის პრობლემები, რაც ჩვენ გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის კუთხით. ძალიან სახიფათო სამყაროში ვცხოვრობთ, სანამ ახალი წესრიგი ჩამოყალიბდება მსოფლიოში, ვიქნებით ამ ტურბულენტურ ვითარებაში“, — აღნიშნა აბაშიძემ.

„დღეს გვიანია, ბატონო რამაზ, ხვალ დილიდან გავძლიერდებით!“

„ობიექტივის“ ერთი გადაცემის შესახებ

წამყვანი: ნინო რატიშვილი,
სტუმარი: რამაზ საყვარელიძე

გადაცემა „ღამის სტუდიაში“ დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში ბევრი ითქვა დაგეგმილი „ქართველთა მარშის“ შესახებ – მისაღები და მიუღებელიც და, რა თქმა უნდა, სადავოც. საგაზეთო წერილში, ცხადია, ყველაფერზე ვერ შევჩერდები და არც არის აუცილებელი, მაგრამ არ შემიძლია ბატონ რამაზ საყვარელიძის ორ შედარებას მაინც არ გამოვეხმაურო:

პირველი შედარება. – ჟურნალისტის შეკითხვაზე: „ვართ თუ არა დამოუკიდებლები“, საყვარელიძემ საქართველო 4-5 წლის ბავშვს შეადარა: **„პატარა ბავშვი, 4-5 წლის და უფრო პატარაც, დამოუკიდებლები არიან? არა, ხომ? ხელით დაგვყავს, რატომ? იმიტომ, რომ გამოუცდელია, პატარაა, შენ რომ ხელი გაუშვა, თვითონ მოგეკვრება და გამოგყვება, სადაც წახვალ“!**

სახტად დარჩენილი ჟურნალისტი: „ამიტომ ჩვენ ასე ვეკვრებით თურქეთს? მაგის თქმა გინდათ? რა პასუხიც გამეცით, გული გამისკდა“!

საყვარელიძე: **„არა, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ, იმ რესურსების და პოტენციის ქვეყანამ, როგორიც ჩვენ ვართ, მოვინდომოთ ვიყოთ დამოუკიდებლები, ეს არარეალურია!** რესურსებში და პოტენციალში ფულს არ ვგულისხმობ მარტო, თუმცა მნიშვნელობა აქვს. **ვგულისხმობ პროფესიონალიზმს მართვაში, პროფესიონალიზმს საგარეო ურთიერთობებში, პროფესიონალიზმს სამხედრო რესურსს...,** ანუ ყველა იმ რესურსებს, რასაც საზღვარგარეთ გასავალი აქვს. აი, იქ გასავალი რომ გექნება, მერე დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი გექნება, თორემ დამოუკიდებელი არავინ არ არის. ანუ დამოუკიდებელი ქვეყანა იმ იურიდიული ნიშნებით, რა თქმა უნდა, ხარ, და დანარჩენი, **რაც გაკლია დამოუკიდებლობაში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის გამო გაკლია“.**

ბევრი რამ რომ გვაკლია და ბევრიც ჩვენი ბრალი რომ არის, ეს უდავოა, მაგრამ, შემთხვევით, ამ ყველაფერში ჩვენი „მეგობრებიც“ – „ისტორიული“ და ახლად შეძენილებიც ხომ არ „გვეხმარებიან“? დედ-მამას რომ დაჰყავს საკუთარი პირმშო ხელით, ისე დავყავართ ამერიკა-თურქეთსაც? ჩვენ ვართ ხელჩაჭიდებული ამერიკა-თურქეთზე, თუ ისინი არიან გადაფოფრებულები ჩვენზე „მშობლებივით“: ე მანდ, უჩვენმეთვალყურეოდ დარჩენილები რამე ფათერაკს არ გადაეყარონ, თავის ნებაზე მიშვებულნი სადმე არ გადაიჩეხონ ხრამშიო!

როცა „მეგობრები“ ინტენსიურად „გეხმარებიან“ და გაიძულებენ იმ კანონების მიღებას, იმ პოლიტიკის გატარებას შინ და გარეთ, იმ ომებში მონაწილეობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს ინტერესებთან (თან გავალდებულებენ ყველას უმტკიცო: ავღანეთშიც და აფრიკაშიც საქართველოს ვიცავთო!), როცა სიტყვით რუსეთთან ნორმალური ურთიერთობისკენ და დიალოგისკენ მოგვიწოდებენ, საქმით კი პროვოკაციული სამხედრო ავანტიურისკენ გვიბიძგებენ, ხოლო ხელისუფლების პირველ პირებს (სხვებსაც) რუსეთისკენ გახედვასაც უკრძალავენ, არათუ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას (რაც თავისი პირით აღიარა ჩვენმა „სასიქადულო“ პრეზიდენტმა გაპრეზიდენტებისთანავე!), ხოლო იმათ, ვინც ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსავალს რუსეთთან სავაჭრო და კულტურულ-ოლიტიკური ურთიერთობების აღდგენაში ხედავს, რუსეთის აგენტებად და მონებად წარმოაჩენ უცხოეთიდან დაფინანსებული, დასავლეთში ტრეინინგებგავლილი ხალხით დაკომპლექტებული არასამთავრობოების და პარტიების მეშვეობით, როცა არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდი, მაშინაც ხალხის ბრალია?! ლუკმაპურზე მაფიქრალ **ხალხს იმას თუ დავაბრალებთ, რომ ბრძოლას გადაეჩვია, შრომისმოყვარე ადამიანების დიდმა უმრავლესობამ საქართველო დატოვა,ყოველდღიურმა რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდამ და ახალგაზრდა თაობის გრანტებით მოსყიდვა-გადაბირებამ თავისი შედეგი მოიტანა – ხალხი ორ ბანაკად გაიყო, სამართალი კი ახალმა ხელისუფლებამაც „უვადო შვებულებაში“ გაუშვა!**

ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია აგრეთვე, თუ როგორ შეიძლება საქართველოსა და თურქეთს (ან ირანს) შორის, რომლებისგანაც აწიოკების, ხოცვა-ჟლეტის, ძარცვა-გლეჯის, ნგრევის და ვაზის აჩეხვის, მხოლოდ ქრისტიანული აღმსარებლობისათვის თავების დაყრევინების, ასეულათასობით ქართველის გადასახლების (სპარსეთში) და საქართველოს ერთი მესამედი მიწების მიტაცების (თურქეთის მიერ) მეტი არაფერი გვახსოვს, ანუ საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული მტრობა სულ რაღაც 5-10 წელიწადში „ისტორიულ“ **(სააკაშვილი)** მეგობრობად იქცეს. სავსებით დასაშვებია და მისასალმებელიც, რომ საუკუნოვანი მტრობა ბოლოს და ბოლოს კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობად ჩამოყალიბდეს, მაგრამ განა შეიძლება რამდენიმეწლიანმა ნორმალურმა ურთიერთობამ დაგვავიწყოს ათასწლოვანი ტანჯვა-ვაება, რაც ჩვენმა წინაპრებმა გადაიტანეს, თუნდაც, მხოლოდ თურქეთისგან და გათქმევინოს მკრეხელური ტყული: „თურქი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობა საუკუნეებს ითვლის“ **(კვირიკაშვილი)**. და, იმავდროულად, რუსეთს, რომლის „კოლონიად“ ყოფნის 200-წლოვან პერიოდში ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა (10-ჯერ ვიმატეთ გადაშენების პირას მისულებმა!), რომლის ხიშტის ძალითაც თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენი მიწების ნაწილი დაგვიბრუნდა, დაუძინებელი „მეგობარი“ **(ცისკარიშვილი)** უწოდო?! ყველა ამ შეფასებას (თურქეთის მეგობრობას და რუსეთის მტრობას) დაეთანხმო და გაამართლო იმით, რომ ამჟამად რუსის ტანკი დგას ჩვენ მიწაზე ჩვენდა უკითხავად, თურქეთის კი – არა **(საყვარელიძე) ?!**

ლოგიკის მოყვარულ ექსპერტს, ბ-ნ საყვარელიძეს ასეთი ალოგიკური და პრიმიტიული ახსნა ნამდვილად არ ეკადრება. ექსპერტს ცოტათი მეტი მოეთხოვება, ვიდრე ექსპერტიზაზე პრეტენზიის არმქონე მსმენელს თუ მკითხველს – ექსპერტი არ იფარგლება მოვლენების (ფაქტების) მხოლოდ კონსტატაციით (ტანკი დგას ან არ დგას), იგი ვალდებულია შეძლებისდაგვარად შედარებითი ანალიზიც გააკეთოს და ობიექტურად(!) შეეცადოს იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, რამაც მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, სადამდეც დღეს ვართ მისული.

ნათქვამია, კაცს რომ გაუგო, მის ადგილზე უნდა წარმოიდგინო შენი თავიო. ობიექტური ანალიზისთვის მეტად საჭირო ეს ჭეშმარიტად უტყუარი მეთოდი განსაკუთრებით ფასდაუდებელია სახელმწიფოების ამა თუ იმ ნაბიჯის შესაფასებლად. ამ უმარტივესი მეთოდის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება (არაექსპერტებსაც!), მაგრამ ექსპერტები (ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტებიც!) მას ხშირად გვერდს უვლიან, რადგანაც ამ მიმართულებით მსჯელობა მათ არ აძლევთ იმ დასკვნების გამოტანის საშუალებას, რომლებსაც მათგან მოითხოვენ სხვადასხვა სამთავრობო თუ ე.წ. არასამთავრობო ძალები და ინსტიტუტები.

პირველი კითხვა, რომელიც ასეთ დროს უნდა დაისვას, კრიმინალისტის მიერ დასმული ცნობილი კითხვის („ვის აწყობდა ეს დანაშაული“?) ანალოგიურია – **„ვის ინტერესებშია ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯი, საომარი მოქმედება თუ, გნებავთ, ტერორისტული აქტი“?**

ჩვენც ამ კითხვით დავიწყოთ: საქართველოს ინტერესებში იყო სააკაშვილის მიერ წამოწყებული საომარი მოქმედებები 2008 წლის აგვისტოში და პროვოკაციული საარტილერიო ცეცხლი რუსეთის სამშვიდობო ძალების ბაზის მიმართულებით? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა, არა! მაშ, ვის ინტერესებში? პასუხი აქაც ადვილია: რუსეთის ან მესამე ძალის, ან, იქნებ, სულაც ორივესი ერთდროულად. ამ უკანასკნელის სისწორე ომის შედეგებით დასტურდება – რუსეთმა მიიღო არაჩვეულებრივი შესაძლებლობა გაეძლიერებინა თავისი თავდაცვისუნარიანობა და ამიერკავკასიაში არსებული ერთადერთი სამხედრო ბაზისთვის (სომხეთში) დაემატებინა ერთდროულად ორი (აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში), რითაც, შეიძლება ითქვას, თეორიული შანსიც აღარ დაუტოვა საქართველოს „ნატო“-ში გაწევრების! უნდა გამოეყენებინა თუ არა რუსეთს თავის ინტერესებში საქართველოს მიერ დაუფიქრებლად (გნებავთ, სხვისი მითითებით) წამოწყებული ეს ომი? უდავოდ! სულელი უნდა იყოს იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელი, რომელიც ასეთ მომენტს გაუშვებს ხელიდან! ამერიკამ? ამერიკამ რაღა მოიგო? 2008 წლის აგვისტოს ომით მან მიაღწია იმას, რაც თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული – დამატებითი (ჩეჩნეთთან ერთად, სადაც, ფაქტიურად, შეწყდა აქტიური დაპირისპირება) ხანგრძლივი დაძაბულობის კერა შექმნა კავკასიაში, კერძოდ, რუსეთსა და საქართველოს შორის, რასაც პროვოკაციულად წამოწყებული ომის გარეშე, სხვა გზით ვერაფრით ვერ მიაღწევდა (პირიქით, იყო აშკარა ნიშნები აფხაზეთთან და, განსაკუთრებით, ცხინვალთან სიტუაციის დარეგულირების). ამერიკის მთავარი მიზანი ხომ ყველასთვის ცნობილია – ეს არის რუსეთის დასუსტება, მისთვის პრობლემების შექმნა სახლშიც, ე.წ. მეხუთე კოლონის (ანუ იგივე არასამთავრობოების) ხელით, და გარეთაც – რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი მთავრობების ჩამოგდებით მსოფლიოში („ფერადი“ რევოლუციებით თუ პირდაპირი აგრესიის გზით) და საზღვრებთან ცხელი კერების შექმნით (უკრაინა, საქართველო, ჩეჩნეთი, მცდელობა ბელორუსშიც და შუა აზიაში). სწორედ ეს არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზანი და არა – კონფლიქტების მოგვარების სურვილი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ანდა, უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნება.

ამერიკის მთავარი მიზანი ხომ ყველასთვის ცნობილია – ეს არის რუსეთის დასუსტება, მისთვის პრობლემების შექმნა სახლშიც, ე.წ. მეხუთე კოლონის (ანუ იგივე არასამთავრობოების) ხელით, და გარეთაც – რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი მთავრობების ჩამოგდებით მსოფლიოში („ფერადი“ რევოლუციებით თუ პირდაპირი აგრესიის გზით) და საზღვრებთან ცხელი კერების შექმნით (უკრაინა, საქართველო, ჩეჩნეთი, მცდელობა ბელორუსშიც და შუა აზიაში). სწორედ ეს არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზანი და არა – კონფლიქტების მოგვარების სურვილი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ანდა, უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნება.

რამდენად სწორად იქცევა რუსეთი თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და ამერიკაც თავისი ზესახელმწიფოებრივი, მსოფლიოზე საბოლოო გაბატონების ინტერესიდან გამომდინარე (საბოლოო, თორემ იგი დიდი ხანია, ბატონობს თითქმის მთელ მსოფლიოში!), ამ კუთხით თუ შევხედავთ, ორივე სახელმწიფო სწორად იქცევა, განსხვავებით საქართველოს და უკრაინისგან, რომლებსაც საერთოდ დავიწყებული აქვთ საკუთარი ერის და ქვეყნის ინტერესები.

ახლა, საყვარელიძის **მეორე შედარების** შესახებ.

ჟურნალისტი: „ბათუმში პატარა ბავშვები ქართულ მუსიკაზე ცეკვავდნენ. მიეჭრა პოლიცია და ნება არ მისცა ქართული ეცეკვათ“!

აი, ამ გაუგონარი სამარცხვინო ფაქტის საყვარელიძისეული „ლოგიკური“ ახსნა (სიტყვასიტყვით): **„შემოდიან თურქები, ირანელები, რაღაცა ნორმები (?! – ი.ლ.) შემოქვთ თავიანთი(!). ნუ დაგვავიწყდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული, უძლიერესი მეფე იყო დავით აღმაშენებელი, თურქულ ნაწილში თბილისისა აკრძალა ღორის გაკეთება (?!). სიძლიერე არ ნიშნავს იმას, რომ სხვას ანგარიში არ გაუწიო. რატომ? იმიტომ, რომ ის სხვა ძალაა და არა იმიტომ, რომ მუსულმანობა მოსწონდა, დიდ ძალებს უწევდა ანგარიშს და ზედმეტი გაღიზიანება არ უნდოდა არავისი, მიუხედავად იმისა, რომ ხელში ეჭირა ყველაზე ძლიერი კვერთხი საქართველოს ისტორიაში“, „შენთან მეფეებს ნიშნავდნენ შაჰები და სულთნები“.**

დიახ, ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ ვიცოდით მუსულმანების რელიგიური გრძნობების პატივისცემა (თათრებით დასახლებულ უბანში ღორის დაკვლის აკრძალვა დიდმა მეფემ შემოიღო არა შიშის, არამედ ქართველი ერის შინაგანი ტოლერანტობის გამო (ამის დასტურია ჩვენი და ებრაელების თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორია, მკვეთრად განსხვავებული „ცივილიზებული“ ევროპისგან!), ახლა, 21-ე საუკუნის საქართველოში კი, ქართული ჰანგებით და ცეკვით ზღვისპირა ბულვარში, თურმე, თურქსპარსელებს ვაღიზიანებთ, რომლებსაც **„რაღაცა ნორმები შემოაქვთ თავიანთი“** (და „დემოკრატიული“ ხელისუფლებაც ამიტომ იყენებს პოლიციას)!

ჟურნალისტი: „ეს იყო ბ-ნო რამაზ, მაგრამ დღეს“?

საყვარელიძე: **„იყო რა, ლოგიკა ითხოვდა ამას“.**

გაოცებული ჟურნალისტი: „დღეევანდელი ლოგიკა მაინტერესებს, ანუ ლოგიკა ითხოვს იმას, რომ ჩვენს ბათუმში, ჩვენს ბულვარში პატარა ბავშვებმა ქართულ მუსიკაზე აღარ უნდა იცეკვონ? იმიტომ რომ, წუხდებიან თურქები და ირანელები? იმიტომ რომ, დიდი ქვეყნები არიან, ამას მეუბნებით“?

საყვარელიძე: **„არ გეუბნები მაგას, ცოტა უფრო უარესს გეუბნები, გაძლიერდი რა“!**

ძნელია სერიოზულად შეეპასუხო საყვარელიძეს ამ დაბეჯითებით გამოთქმულ „ლოგიკურ“ მოსაზრებაზე, მე ერთი რამის მეშინია მხოლოდ – შეკვეთილიდან, „ბლექსი“ არენადან „სუხიშვილების“ ქართული ცეკვების მუსიკის ხმები არ მიწვდეს ბათუმში ქუთაისის ქუჩაზე და თბილისში აღმაშენებელზე (პლეხანოვზე) გაჯეჯილებულ თურქებს, თორემ, ვინ იცის ამას რა შეიძლება მოჰყვეს, საყვარელიძე კი გვეტყვის: ხომ გაფრთხილებდით, ჯერ გაძლიერდითო!

წერილს ნინო რატიშვილის მოსწრებული პასუხით დავასრულებ: **„დღეს გვიანია ბატონო რამაზ, ხვალ დილიდან გავძლიერდებით“!**

იაკობ ლეჟავა

პათოლოგიური ისტორიზმი, ანუ მიტაცებული ძეგლები და ნაშლილი მატიანე



ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა (გამომცემლობა „მერიდიანი“) ცნობილი არმენოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **ბონდო არველაძის** საყურადღებო ნაშრომი **„ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“**. **წიგნი უკვე დაისტამბა ინგლისურ ენაზეც, მალე კი მას მიიღებს რუსულენოვანი მკითხველიც.**

როგორც სათაურივე გვაკვალიანებს, წიგნი პოლემიკურია. **„სომხურ საისტორიო მწერლობას თუ გადავხედავთ, მოვსეს ხორენაციდან (V ს.) მოკიდებული დღემდე, სომეხ ისტორიკოსთა უმეტეს ნაწილს პათოლოგიური და აგრესიული ისტორიზმი სჭირთ. ამას შეიძლება დაავადებაც ვუწოდოთ, რომელიც XX ს-ის შუახანებში სომხური „კოსმოკრატიზმით მოინათლა“**, — წერს ბონდო არველაძე.

სამეცნიერო ლიტერატურაში კოსმოკრატებს უწოდებდნენ მეფეებს, იმპერატორებს, რომლებიც უპირველეს მიზნად მიიჩნევდნენ დედამიწაზე ზეციური წესრიგის დამყარებას და განუსაზღვრელი იმპერიული ამბიციებით შეპყრობილნი ახერხებდნენ კიდეც, განეხორციელებინათ სუვერენული უფლებები კონკრეტულ გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში — ასე განმარტავს ამერიკელი მეცნიერი კირილ თუმანოვი. მას კოსმოკრატიზმის ტიპურ ნიშნად მიაჩნდა ე.წ. „დიდი არმენიის“ სახელით წოდებული სახელმწიფო და მისი ოთხ საპიტიახშოდ მოწყობა, რაც სამყაროს ოთხივე მხარეზე სომეხთა მეფის ბატონობის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ამრიგად, მოვსეს ხორენაცმა სათავე დაუდო სომხურ ავადმყოფურ ისტორიზმს, რაც გამოიხატა სპარსული აქემენიდებისა და სასანიდების ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების... სომხეთის გამარჯვებებად გამოცხადებით.

ეს საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება.

როგორც ირკვევა, წიგნის „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ დაწერას **ბიძგი მისცა 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სომხური ეკლესიის ეპარქიის წინამძღვრის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი „სომეხთა ეპარქიისაგან ჩამორთმეული 442 ტაძრის, მონასტრის (მოქმედის და არამოქმედის) და მათი ნანგრევების სიის წარდგენამ და „სამართლებრივი სახელმწიფოს და მოქალაქეთა თანასწორობის საკონსტიტუციო პრინციპებიდან გამომდინარე თხოვნამ, რომ საქართველოს სომეხთა სამოციქულო ეკლესიას დაუბრუნონ ჩამორთმეული ტაძრები, მონასტრები, მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინი არიან ან იყვნენ განლაგებული...“**

მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ეპისკოპოსი მირზახანიანი ამაზე არ შეჩერებულა, დროის მსვლელობის კვალდაკვალ მადა გაეზარდა. **2016 წ. 18 იანვარს „არმენ პრესის“ ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: ჩვენ პირველად წარვადგინეთ 442 ეკლესიის სია, მაგრამ ახლა ჯგუფი კიდევ მუშაობს, საქართველოს მთავრობას 20 ეკლესიის სია წარვუდგინეთ. ველოდებით პასუხს და კიდევ 25 ეკლესიას მოვითხოვთ, ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწევთ იმას, რომ ყველა ეკლესიას დავიბრუნებთ“.**



რამდენია ეს **„ყველა“**?

მანამდეც იყო ცდები, საქართველოში „მიეკვლიათ“ ასობით სომხური ეკლესია. **1995 წ. სამველ კარაპეტიანმა ერევანში გამოსცა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“, სადაც გაცხადებულია, საქართველოში... 653 სომხური ეკლესია არისო.**

ბატონი ბონდო არველაძე სომეხ ისტორიკოსთა ცრუმეცნიერული შემოტევების აღიარებული მცოდნეა, ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სერიოზული, საყურადღებო ნაშრომი. ის ამჟამადაც ნაბიჯ-ნაბიჯ აბათილებს ეპ. ვ. მირზახანიანის, ს. კარაპეტიანის, პ. მურადიანის და სხვათა მტაცებლურ ზრახვებს.

ბ. არველაძე ლამის სათითაოდ მიჰყვება სომეხ ისტორიკოსთა და სასულიერო პირთა მიერ სომხურად შეგულებულ საკულტო ნაგებობებს და დოკუმენტების მოშველიებით აბათილებს მათ უსაფუძვლო მოთხოვნებს, საბუთებით ამტკიცებს მათს ქართველობას. წიგნში განხილულია თბილისში, კახეთში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთში არსებული ძეგლები დღეს სომხეთის ტერიტორიაზე — უძველეს ქართულ მიწაზე ლორე-ტაშირში არსებული ქართული ეკლესიები: თეჟარიუიქი, ჰუჯაბი, ჰნევანქი, ქობაირი, ოსკიპარი, შაჰნაზარი...

რადგანაც ამ დღეებში კიდევ ერთხელ მწვავედ გახმიანდა სომხეთის ტერიტორიაზე ჰუჯაბის „გადაადგილების“ ცნობა, მოვიყვანთ ჩანაწერს ბატონ ბონდო არველაძის ახალი წიგნიდან სწორედ ჰუჯაბთან დაკავშირებით:

„ჰუჯაბის, ამ ქართული ტაძრის ქართულობის შესახებ არცთუ ცოტა მეცნიერული ნაშრომი, სტატია და წერილია გამოქვეყნებული. დავინტერესდი, იყო თუ არა ეს ტოპონიმი, შესაბამისად ტაძარი შეტანილი „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონში“, რომელიც ერევანში გამოვიდა 5 ტომად XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. იქ ჰუჯაბის შესახებ მხოლოდ ეს წერია: „ხუჭაპ-სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ტაშირის გავარი, ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოს. ეს ტაძარი აშენებულია XIII ს-ში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით. ბუნებრივია, დარჩა ბერძნული ხუროთმოძღვრების ნიმუშად“. ჯერ ერთი, აღნიშნული არ არის, ეს ბერძნული სტილის ტაძარი ვინ ააშენა. მეორე, სომხებმა ააშენესო, ვერ თქვეს, მაგრამ ქართველთა ნამაგარი რომ არის, სომხურ საზოგადოებას შეგნებულად დაუმალეს. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჰუჯაბის მონასტრის დაპატრონების მიზნით, სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ტერიტორიის ფარგლებში მოხვედრილიყო.

სინამდვილეში ჰუჯაბი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, რომლის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ძირძველ ქართულ მიწაზე, ქვემო ქართლის მარნეულის რაიონში, სოფელ ახქერფის მახლობლად. პროპორციებით, დეკორული მორთულობითა და სტილისტური ნიშნებით მიეკუთვნება XII-XIII ს.ს. მიჯნას და XIII ს-ის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფს (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ახტალა და სხვ.). გუმბათის ყელი უხვადაა მოჩუქურთმებული, გარედან შემოსილია ოქროსფერი და ღვინისფერი ქვით. შიგნით მოხატულია, შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები.

სადავოა რამე?!

ბატონი ბონდო არველაძე დაასკვნის: საქართველოში არსებული ქრისტიანულ-მართლმადიდებელი, კათოლიკური, სომხურ-გრიგორიანული, მუსლიმანური, ებრაული და სხვა საკულტო ძეგლები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ეროვნული სიმდიდრეა, ქართველი ხალხის ისტორიის ორგანული ნაწილი. ამდენად, მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა საქართველოში მცხოვრებ რომელიმე კონფესიის ეთნიკურ ერთეულზე, როგორც ამას ეპისკოპოსი მირზახანიანი ითხოვს, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნება. ეს იგივეა, ვაჩუქოთ საქართველოს ისტორია, ქართული ეროვნული კულტურული სიმდიდრე, ქართული მიწა, ბუნებრივი წიაღისეული და ა.შ.

წიგნში დამატების სახით შესულია პ. მურადიანის სტატია „გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველები. მითი თუ სინამდვილე“ და მასზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გურამ მაისურაძის პასუხი „ვინ არღვევს კეთილმეზობლობის ტრადიციებს“, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილის „საქართველოში გრიგორიანული ეკლესიის აღმშენებლობის გამო“ პროფესორ თინა იველაშვილის „ქალაქ ახალციხის შემოგარენი (ნასოფლარი მოღნისი), ბონდო არველაძისვე „სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე — ჯავახქ, ლორი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სიძველეთა კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის რაიონული რწმუნებულისა და მუზეუმის გამგის კოტე გვარამაძის 1936 წლის მოხსენებითი ბარათი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისა და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნის ლავრენტი ბერიას სახელზე.

ბატონი ბონდო არველაძის ახალი წიგნი „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რა სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და რა ტენდენციურად აშუქებენ ან სულაც გაყალბებულად წარმოაჩენენ ამ ისტორიას სომეხი მეცნიერები.

სანდრო ალექსიძე



◎ სიტყვა მეგობარ პოეტზე

ადამიანის სხეულისა და სულის მკურნალი!

ნანა ცინცაძე ჩემი კოლეგაა, დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შემდეგ გააგრძელა ასპირანტურაში სწავლა პროფესორ რეზო ვეფხვაძის ხელმძღვანელობით, რის შემდეგ დაიცვა დისერტაცია და გახდა მედიცინის დოქტორი, მუშაობდა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში თერაპევტად. პარალელურად უფალმა უკარნახა მწერლობისთვის მოეკიდა ხელი და აეღო კალამი.

1990 წელს გამოუშვა წიგნი **„მკურნალობა სამედიცინო პირობებში“** და შემდეგ ლექსებისა და ნოველების კრებული სათაურით: **„დაუმცხრალი მთვარე“**.

აბა, ამის შემდეგ „გარეკა და გარეკა“ პოეზიაში. იმდენად ახლო ვარ ნანასთან, რომ თავისი ერთ-ერთი ლექსების კრებულზე ასეთი რამ წამიწერა: **„მიყვარხარ, როგორც შვილს მამა, უმცროსი დაც ვარ ეული, ვატყობ, სიტყვები არ მყოფნის, რადგან ხარ გამორჩეული. შენი ნანა ცინცაძე, 17 მაისი, 2017 წელი“**. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ნანას ძალიან ღრმად ვიცნობ, როგორც პიროვნებას და სულის ნაწილად მიმაჩნია.

ზევით რომ ვახსენე „გარეკა და გარეკა“-მეთქი, ეს იმიტომ, რომ მრავალი კრებული გამოვიდა მისი ავტორობით: **„მოანატრებიხარ ფიქრებს“, „გვიან და... ადრე...“**

თუ ნანას წიგნი ისე გადაშალე, რომ გვარი და სახელი არ ამოიკითხე, აუცილებლად მამაკაცის ძლიერი ხელით დაწერილი გეგონება.

მიუხედავად იმისა, რომ ის ვიზუალურად და სულითაც აბსოლუტურად ქალური საწყისის მატარებელია, მაინც იგრძნობა მის სულში ჩასახლებული მამრის აზროვნება და გამბედაობა. მისი ლექსები იაგუნდის ქვასავით, მძივებივით მოიფრქვა ქართულ პოეზიაში.

თბილისი ადამიანის გულივით თბილი და მგრძნობიარეა, უცებ გამოარჩევს და აიტაცებს ყველა სტროფსა თუ მელოდიას, რომელიც მას მიუძღვნეს, მისი სიყვარულით შექმნეს და მერე ქუჩიდან ქუჩაში, სახლიდან სახლში, ფანჯრიდან ფანჯარაში ისმის ჰანგები... მღერიან და ხშირად ვერავინ გეტყვის, თუ ვინ შექმნა ლამაზი მელოდია ან ვინ დაწერა ლექსი ამ სიმღერისთვის. ემღერებათ და მორჩა...

ნანა ცინცაძე იმ ადამიანთა წრეს ეკუთვნის, ვისაც ღმერთმა ლექსის წერის უფლება მისცა. პროფესიით ექიმი ქალბატონის ამაღლებული ლექსების მუსიკალობაც, ჩემი აზრით, მისი ძირითადი პროფესიის — ექიმობის გავლენითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, რადგანაც იგი შუამავალია ღმერთსა და პაციენტს შორის. როცა გადავხედე სიმღერების კრებულს — **„სევდიანი მუხამბაზი“**, გულწრფელად ვიტყვი, არ მეგონა, თუ ამდენი ცნობილი სიმღერის ტექსტის ავტორი ნანა ცინცაძე იყო. თითოეულ სტროფს თბილისის გამორჩეული ხიბლი დაჰ ყვება. **„თბილისი ქვეყნად არავის ჰგავსო“**, — ასე მღერიან ნანას ლექსს და გრძნობ, ქალბატონი თავისი სინაზით და კდემამოსილებით ბევრს გასჯიბრებია.

მახსენდება აგრეთვე ნანას ერთი დიდი სევდის გასაქარვებლად არაჩვეულებრივი ტექსტი, რომელიც მიუძღვნა ახალგაზრდა ოლიმპიელს ნოდარ ქუმარიტაშვილს მისი გარდაცვალების გამო. ამ სიტყვებს უცრემლოდ ვერ მოისმენს კაცი.

ნანას შეუძლია ისე ზუსტად გადმოსცეს განცდები, რომ შენ არაფერი დაგიტოვოს სათქმელი და ხვდები, შენ წინ მშვენიერი ლექსი დაბადებულა. ნანას ახლა ჩემი თაობის ერთი გამორჩეული კაცის — ჯანო გიორგაძის სტრიქონებით უნდა მივმართო: **„მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია თვალში ცრემლი ამოაშრო, რა ვქნა, სულ სხვანაირად გალობ, საქართველოს შავო შაშვო...“**

ბედნიერია ქვეყანა, როცა ადამიანი თავისი ნიჭიერებით ამკობს და ალამაზებს ეროვნულ პოეზიას. მინდა, ვუსურვო ნანას ღვთის ნებით, მას მთელი თბილისსა და საქართველოს ამღერების ჰიმნი შეექმნას.

დაბოლოს, ყოველგვარმა ზემოთქმულმა, გურულები რომ იტყვიან, — „ამიშალა საღერღელი“ და დამაწერინა ეს ჩემი გულისთქმა ნანა ცინცაძეზე.

გელა მუხაშავრია

„თბილისი“ 2016-ის გამარჯვებული ლიკა შხვაცაბაია!

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი- 2016“-ის ფერწერის ნომინაციაში გამარჯვებულ მხატვარს ლიკა შხვაცაბაიას შეხვდნენ.

ესპანეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი, რომელიც კონკურსში „თბილისი-2017“ მონაწილეობას მეორედ მიიღებს, ესპანეთში მცხოვრებ ქართველებში კონკურსის ცნობადობის გაზრდას საინფორმაციო კამპანით შეეცდება.

შეხვედრის დასასრულ, გიორგი ალიბეგაშვილმა და თამარ ტალიაშვილმა ფერმწერს საჩუქრად 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული და ნომინირებული ავტორების კრებული გადასცეს.

ლიკა შხვაცაბაიას არაერთი პერსონალური გამოფენა აქვს გამართული, ასევე მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებშიც აქვს მიღებული.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის კარგი საქმეები

ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში აშშ-ის სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებით სწავლობენ, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ექნებათ. შესაბამისი მემორანდუმი ფინანსთა სამინისტროს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდსა და აშშ-ის სან-დიეგოს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა, რომელსაც ხელი პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ და აშშ-ის სან-დიეგოს უნივერსიტეტის დეკანმა, დოქტორმა კენ უოლშმა მოაწერეს.

მემორანდუმს, რომელიც საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერას ითვალისწინებს, გულისხმობს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საფინანსო სფეროში გადამზადებას სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის გზით; საჯარო-კერძო სექტორთან ურთიერთობის გაღრმავებასა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას; აგრეთვე საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური დარგების პოპულარიზაციას, გადამზადებული კადრების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობას.

მემორანდუმის ფარგლებში გაძლიერდება პარტნიორობა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადების ხელშეწყობა, რაც გაზრდის ინვესტიციების რაოდენობას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველოს მისიაა საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვა.



დედამიწის საგოდებელი (რეკვიემი)

წინათქმა

ჩემი დაკვირვებით, ნებისმიერი პუბლიცისტური შეფერილობის ლექსი თუ პოემა ერთგვარი დოსიეა იმ ეპოქისა, რომელშიც ის დაიწერა.

ამავე დროს, არ არსებობს უმნიშვნელო პუბლიცისტური ლექსი, რადგან იგი, მხატვრულად თუ სუსტია, რაიმე ინფორმაციას მაინც გვაწვდის. ვთქვათ, „მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას“, ან, უახლესი ტრაგიკომიკური, ცხრაწლიანი პერიოდი ჩვენი ისტორიისა — „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“...

დღეს შემოგთავაზებთ მეგობარი პოეტის ირაკლი ვაშაყმაძის ჩინებულ ლექსს, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება საკაცობრიო სატკივარი. პერმანენტული ლტოლვა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მსოფლიო ბატონობისკენ (ჰანიბალები, ჩინგის ხანები, მაკედონელები, ჰიტლერები და მისთ.), რამაც, ალბათ, უკვე შეიწირა მილიარდობით ადამიანთა სიცოცხლე.

თუ სადმე სამართალია, ეს ლექსი, უსათუოდ უნდა გამოაქვეყნოს ნებისმიერმა პერიოდულმა გამოცემამ, ითარგმნოს სხვათა ენებზე და დაიდოს ინტერნეტში.

გიზო ზარნაძე

ლაჟვარდი ზეცა ენატრებათ დავითს და ნინოს...
სურნელი — ღონე დაეკარგა მაცხოვრის ღვინოს...
წერასატანილ შვილთა ჩემთა ვყოფილვარ წერა,
უსასრულობის სარეცელზე გულმკვდარი ვწევარ.
ზიზღით, შურით და სიძულვილით გალეშილები,
ხოცავენ ერთურთს, დასაბამით, ჩემი შვილები!..
აქ გააღმერთეს, მოძალადე, მკვლელი და ქურდი.
კლავენ და ჭამენ, ვისაც ხურავს ნამუსის ქუდი.
აქ ძეგლს უდგამენ ომების და ბუნტის მდომელებს,
ყრუ მურვანებსა თუ სისხლის მსმელ მაკედონელებს!..
გავმხდარვარ დედა გულბოროტთა, მოძმის მჭამელთა,
მეც, შვილთა დარად, ჭკვაზე აჭრილს, გონი
წამერთვა.
სავსე მაქვს უბე საფლავებით, მძორით და ნეხვით,
უსასრულობის სამარეში ჩამიდგამს ფეხი!..
არა, არ ვუწყი, თუ ვინ ზრდიდა მზაკვარ-მეომრებს,
უსულგულოთა მხედართმთავრებს, ნაპოლეონებს...
ჯერ ისრით, მერე ხმლით და თოფით, მერე
ზარბაზნით
ბომბებს რად მაყრით, სისხლდატბორილს, სიკვდილს
არ მაცლით!
მე, ღვთის მოშიშმა, სიყვარულით ვზარდე შვილები,
ამაღლებულნი, ზნეკეთილნი, მხარგაშლილები,
ბაღ-ვენახებით მიხატავდნენ ახო-სანახებს,
აგებდნენ ტაძრებს, თაყვანს სცემდნენ წმინდა სამარხებს,
ლაო ძი, დანტე, ფირდოუსი, ფშაველა ვზარდე,
ჰომეროსით და რუსთაველით ავმაღლდი ცამდე,
შვილ-იბერებმა ჩემ კალთაზე ვაზი ახარეს...
დღეს იქ მტარვალი, მოძალადე, ეშმა ხარხარებს!..
ერთი შვილი რომ აშენებდა, მეორე — წვავდა,
მაგიერ უფლის, ოქრო-ვერცხლი, მამონა სწამდა.
მიმონგრეულა კიბეები სათნოებათა,
ნაცრად ქცეულა, მშვენიერი რაც რამ მებადა!
ბატონობს შური, სიძულვილი... მეფობს ავყია...
დაშაშრულ მკერდზე რაკეტებს და ბომბებს მაყრიან...
წერასატანილ შვილთა ჩემთა გავმხდარვარ წერა,
უსასრულობით სარეცელზე გულმკვდარი ვწევარ.

ირაკლი ვაშაყმაძე

ჩვენი კრიმინალი არ გვეყოფა, რომ არ დაგვემატოს სხვა ქვეყნიდან შემოსული ყალთაბანდები?!

ARALEGALEBIS მოძალება მხოლოდ ევროპელების თავსატეხად არ ქცეულა. რასაც მრავალრიცხოვანი ევროპა ვერ უმკლავდება, მცირერიცხოვანი საქართველოც ვერ გაუმკლავდება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი საზოგადოება შეძრა ბათუმის ბულვარში მრავლობითი ჭრილობებით მოკლული 16 წლის მარიამ კოჩალაძის დაღუპვის საზარელმა შემთხვევამ. სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან შემოსულმა 1985 წელს დაბადებულმა ირანის მოქალაქემ გოგონა მოკლა და, ასევე, სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტით დატოვა საქართველოს ტერიტორია.

ამ ფაქტიდან ცოტა ხანში უკვე თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე დაიძაბა ვითარება, რადგან ერაყელმა მამაკაცმა 15 წლის ბიჭი გააუპატიურა. ამ ამბის შეტყობისთანავე ადგილობრივ ახალგაზრდათა ჯგუფმა ამავე ქუჩაზე მცხოვრები ინდოელების ფიზიკური ანგარიშსწორება დააპირა. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ ამ შემთხვევის შემდეგ უცხოელებს საქართველოში ფიზიკური ანგარიშსწორება ელოდათ.

მას შემდეგ არაერთხელ გახმიანებულა აღმაშენებლის გამზირზე ტრეფიკინგის უამრავი ფაქტის შესახებ. სულ ბოლოს კი ამ ჩამონათვალს მიემატა კიდევ ერთი შემთხვევა, როცა 51 წლის ირანელმა მოქალაქემ ახალციხეში ხუთ არასრულწლოვან ბიჭთან გარყვნილი ქმედება სცადა.

რა უნდა მოიმოქმედოს ქვეყანამ, როცა აზიიდან და აფრიკიდან მიგრირებულთა პრობლემა მიგრაციის წესების დარღვევას სცდება და კრიმინალად იქცევა?

დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ აზიიდან და აფრიკიდან შესული მიგრანტები თვით ევროპისთვისაც უდიდესი პრობლემაა. მაგალითად, შვეიცარიაში შობადობის 26% სწორედ იმიგრანტების მიერ დაბადებულ ბავშვებზე მოდის. ევროპის დიდ ქალაქებში, ფაქტობრივად, უკვე სულ მიგრანტები ცხოვრობენ. მართალია, იმიგრანტების პირველი ტალღა ასეთი აგრესიული არ ყოფილა, მაგრამ მეორე და მესამე ტალღა, როცა მიგრანტებმა საკუთარი ოჯახები გაერთიანეს და ისე მიაშურეს დასავლეთს, უფრო აგრესიული გახდა. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ სულ სხვა კულტურა და რელიგიური აღმსარებლობა შეიტანეს მასპინძელ ქვეყნებში.

„ამიტომაცაა საშიში იმიგრანტთა დიდი რაოდენობა. რაც შეეხება საქართველოს, ქართველ ხალხს არასდროს უთქვამს, მარტო მე უნდა ვიცხოვრო ჩემს ქვეყანაში, მაგრამ ისე სწრაფად იზრდება სხვა ერის წარმომადგენელთა რაოდენობა, თუ ასე გაგრძელდა, სულ რამდენიმე, 2-3 ათეულ წელიწადში ქართველს აქ აღარ დაედგომება. სხვათა შორის, ბოლო წლებში განსაკუთრებულად იზრდება უცხო ხალხის რიცხვი, თორემ აქამდე მათი რაოდენობა ამდენი არ ყოფილა. თანაც, ისინი ძალზე აგრესიული არიან. ის, რაც აღმაშენებლის გამზირზე ხდება, სამართალდამცავი ორგანოების პრერეგატივაა. სწორედ მათ უნდა გააძევონ ჩვენი ქვეყნიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენნი. არც ის მიმაჩნია გამართლებულად, რომ მთელი აღმაშენებლის გამზირი სხვამ დაიკავოს და ამის შემდეგ რუსთაველის გამზირს მიადგეს“, — აცხადებს ანზორ თოთაძე და მე-19 საუკუნის დასაწყისის პერიოდს იხსენებს, **როცა რუსთაველის პროსპექტზე ქართველის კუთვნილი მხოლოდ ორად-ორი სახლი იყო.**

ამიტომაც ჩვენი ეროვნული მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები წუხდნენ და წერდნენ, რომ მიწა და საკუთრება გადასული იყო სხვების ხელში.

ანზორ თოთაძეს მიაჩნია, რომ „ოქტომბრის რევოლუციამ ერთი კარგი გაკეთა და სულზე მოუსწრო საქართველოს, თორემ ქართველების ხელში არანაირი საკუთრება აღარ დარჩებოდა. ახლაც, ასევე, გადადის სხვების ხელში ჩვენი დედაქალაქი. ამდენად, ინვესტიციები კარგია, მაგრამ ასეთი ინვესტიციები საბოლოოდ ერისთვის კარგს არაფერს მოიტანს. ამაზე ქართველი ერი უნდა დაფიქრდეს“.

ისტორიკოს **გიორგი ოთხმეზურის** აზრით, ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა, მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამდენად, თუ 100 და 200-მილიონიანი ერებისთვის მიგრანტების გარკვეული ნაკადის შესვლა პრობლემა არ არის, ჩვენთვის ეს შეიძლება ძალიან დიდი პრობლემა გახდეს. ამიტომაც ქართული მიწა არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, კრიმინალი კი ჩვენიც გვეყოფა, რომ არ დაგვემატოს სხვა ქვეყნიდან შემოსული ყალთაბანდები.

— დანაშაულის ჩასადენად საქართველოში ჩამოსული რატომ უნდა შევიფაროთ და რატომ უნდა მივცეთ აქ ცხოვრების უფლება? წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში და იქ აკეთონ, რაც უნდათ. უნდა აღიკვეთოს აღმაშენებლის გამზირის ბორდელად გადაქცევის პროცესი. განა შეიძლება, ქართველი საქართველოში დაჩაგრულ მდგომარეობაში იყოს? სხვის უფლებებს რომ ვიცავთ, ჩვენი უფლებები არ უნდა დავიცვათ? პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეების უფლება უნდა იყოს დაცული. ის, რაც ქართველისთვის არ არის დაშვებული, რატომ არის ირანელისა და თურქისთვის, ან გინდაც, ამერიკელისა და გერმანელისთვის დაშვებული?! რას ჰქვია, ქართველ ბიჭებს არ უშვებენ თბილისში გახსნილი აზიელების ბარებსა და რესტორნებში და მხოლოდ ქართველ გოგონებს აძლევენ ამის უფლებას?! აბა, ერთი, სადმე ფრანგს უთხრან, შენ არ შემოგიშვებ, რადგან ფრანგი ხარ; ან კიდევ, თურქსა და ირანელს გაუბედონ ასეთი რამის თქმა, იქ ერთი ამბავი ატყდება. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დამცველებს ჰკითხოს ვინმემ, ქართველების უფლებები დაუცავთ ოდესმე? რას ჰქვია ქსენოფობია? სახელმწიფომ უნდა გაატაროს კანონის პოლიტიკა და, ვინც ამ კანონს არღვევს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, მისი ადგილი ამ ქვეყანაში არ არის, მას წარმოების გახსნის უფლება არ უნდა მისცენ. ჩვენ რომ გავხსნათ რესტორანი და იქ გარყვნილების ბუდე მოვაწყოთ, ხომ მოგვთხოვენ პასუხს? რად გვინდა ასეთი ინვესტიცია? ინვესტიციაც კანონიერად და ზნეობის ნორმების დაცვით მოიზიდონ“, — აცხადებს გიორგი ოთხმეზური.

მანანა ნოზაძე

იმ დროს, როცა ტრამპი ტვიტერში წერით ერთობა, პუტინი თავის მეზობლებს აშინებს!

თუ ვაშინგტონი და ბრიუსელი თავიანთ პოლიტიკას არ გააააქტიურებენ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ან „აფეთქდება“, ან რუსეთის კონტროლქვეშ მოექცევა

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „Newsweek“ ამერიკა-რუსეთის ამჟამინდელი ურთიერთობისა და ამ კონტექსტში სამხრეთ კავკასიის მდგომარეობის შესახებ სტივენ ბლანკის ავტორობით ვრცელ მასალას აქვეყნებს.

რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები ვლადიმერ პუტინი და დონალდ ტრამპი, როგორც ჩანს, „დიდი ოცეულის“ სამიტზე შეთანხმდნენ, რომ შეზღუდონ ჩარევები მესამე ქვეყნების საქმეებში. არადა, ასეთი ტიპის შეთანხმება რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. რუსეთი ცდილობს, რომ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებას ხელი შეუშალოს ფუნქციების შესრულებაში და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაში.

ბოლო დროს მომხდარი მოვლენები მოწმობს, რომ „დიდი ოცეულის“ სამიტზე მიღწეულ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეთანხმებას მოსკოვისათვის გროშის ფასი აქვს და რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემას რუსეთისათვის აზრი არ აქვს.

რუსეთი არ ერიდება მეზობლების საქმეებში ჩარევას მისთვის სასურველ მომენტში, ემუქრება მათ და რეგულარულად ატარებს სამხედრო წვრთნებს მათი დაშინების მიზნით.

თუ ვაშინგტონი (აშშ) და ბრიუსელი (ნატო) თავიანთ პოლიტიკას არ გააააქტიურებენ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ან „აფეთქდება“, ან იძულებული იქნება რუსეთის ხელისუფლების კონტროლქვეშ მოექცეს. დასავლეთმა რეგიონის ქვეყნებს ზურგი არ უნდა შეაქციოს. ევროპული უსაფრთხოება სამხრეთკავკასიურ უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული.

რუსეთი საქართველოზე ზემოქმედებას აგრძელებს, რათა თბილისმა თავისი ტერიტორიული დანაკარგები ოფიციალურად აღიაროს, ყურადღებას არ აქცევს საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას მოლაპარაკებებზე და ითხოვს, რომ ქვეყანამ უარი თქვას ევროატლანტიკურ (ნატო-ევროკავშირთან) ინტეგრირებაზე. ივლისის დასაწყისში რუსმა მესაზღვრეებმა ცალმხრივად, 700 მეტრით გადასწიეს „საზღვარი“ საქართველოს შიგნით. რუსეთის ჯარები ბაქო-თბილისი-ფოთის საერთაშორისო ავტომაგისტრალიდან დღეს სულ რაღაც კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე დგანან.

სომხეთს რუსეთმა დამოუკიდებელი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ წაართვა, როცა ერევანი იძულებული გახდა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრებულიყო. რუსეთს უფლება აქვს, „ვეტო დადოს“ სომხეთის ნებისმიერ შეთანხმებას ევროკავშირთან. ის სომხეთზე სამხედრო თვალსაზრისითაც ბატონობს: ერებუნისა და გიუმრის საჰაერო და სახმელეთო ბაზების მეშვეობით. მათი ფუნქციები თითქოსდა სომხეთის დაცვაა აზერბაიჯან-თურქეთის აგრესიისაგან, მაგრამ მათი მეშვეობით მოსკოვი დე ფაქტოდ ახორციელებს პროტექტორატს სომხეთზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

რუსეთმა ბოლო ხანს ზეწოლა აზერბაიჯანზეც გააძლიერა — ჩაატარა ერთობლივი წვრთნები სომხეთთან ერთად მთიანი ყარაბაღის ახლოს, ასევე განახორციელა სამხედრო მანევრები ირანთან ერთად კასპიის ზღვაზე, აზერბაიჯანის ნავთობ-გაზის საბადოების ახლოს. მოსკოვი ამას იმ მიზნით აკეთებს, რომ სურს, ხელი შეუშალოს აზერბაიჯანს ევროპულ სტუქტურებთან დაახლოებაში და დაბლოკოს, როგორც კონკურენტი, ბალკანეთის გაზით მომარაგების საქმეში. გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ორგანიზაციის შეზღუდვა და დახურა მისი მთავარი ოფისი (სომხების გავლენით), ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს შეურაცხყოფა მიაყენა. მთიანი ყარაბაღის ახლოს სომხეთის ჯარების მიერ დაწყებული სროლების დროს აზერბაიჯანელი დედა-შვილის დაღუპვის ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს კონფლიქტი არ ცხრება და ყოველ წუთს შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს. ყველაზე მთავარი და არასასურველი ისაა, რომ რაც მთიან ყარაბაღში მოხდება, ის მხოლოდ იქ არ დარჩება და მთელ რეგიონზე გავრცელდება..

როგორც ვნახეთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, კავკასიის უსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპულ უსაფრთხოებასთან. აშკარაა, რომ რეგიონში გაჩენილ ხანძარს სერიოზული შედეგები მოჰყვება როგორც ევროპაში, ასევე ახლო აღმოსავლეთში და, საერთოდ, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მსოფლიო წესრიგზე.

საბედნიეროდ, ვაშინგტონის ხედვებში ცვლილება შეიმჩნევა. თუ ადრე ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ სამხრეთ კავკასიის რეგიონი თითქმის სრულიად იგნორირებული იყო, ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი სტამბოლში აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა. აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას გაუჩნდა შესაძლებლობა, აქტიურად იმოქმედოს და ბაქოერევანს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში დაეხმაროს. ასეთი პოლიტიკა უპასუხებს რეგიონის ქვეყნების ინტერესებს და ამცირებს სამხედრო ინტერვენციის ალბათობას. ეს ძალზე საჭიროა, როგორც რექს ტილერსონისთვის, ასევე ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსისთვის, პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი ევროპელი კოლეგებისათვის. მათ რუსეთს უნდა აჩვენონ (ბაქოში, თბილისში და ერევანში რეგულარული ვიზიტებით), რომ ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და მთლიანობას დაიცავენ და აქტიურად ჩაერთვებიან სამშვიდობო პროცესში.

თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თავის დღევანდელ პოლიტიკას გააგრძელებს, მაშინ ამას ომის გამოწვევაც შეუძლია: აქაური სახელმწიფოები საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარს არ იტყვიან. გარდა ამისა, მოსკოვი, აღვივებს რა კონფლიქტებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ და მთიან ყარაბაღში, თანაც ორივე დაპირისპირებულ მხარეს — სომხეთს და აზერბაიჯანს იარაღით ამარაგებს. ამით მოსკოვი ხელს უწყობს ისეთი შედეგის დადგომას (ომის დაწყებას), რომელიც მას თითქოსდა არ სურს.

რუსეთის პოლიტიკა იმის გარანტიას იძლევა, რომ ახალი ომების კერები გაჩნდება. ეს კი როგორც ვაშინგტონისთვის, ისე ევროპისათვის მიუღებელია. რექს ტილერსონის თქმისა არ იყოს, უგულებელყოფის დრო დამთავრდა, დადგა პროცესებში მონაწილეობის, მათში ჩართვის დრო.

შენიშვნა: სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საბჭოს (American Foreign Policy Council) ვებ-გვერდზე (http://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/there-he-goes-again-putin-meddles-in-the-south-caucasus). პუბლიკაციის ავტორი **სტივენ ბლანკი** საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

„NEWSWEEK“ (აშშ)

მოამზადა „ნიუსპრესმა“

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



ამით სტალინისა და შარლ დე გოლის პირადი ურთიერთობა დამთავრდა. მაგრამ იგი გრძელდებოდა დაუსწრებლად. საფრანგეთის ხელმძღვანელის მტკიცე პოზიცია მართლა მოეწონა სტალინს, და მალე მან ამის დადასტურება შეძლო. და სსრ კავშირის ხელმძღვანელის ეს საქციელი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებს არა მხოლოდ სხვაობას რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას შორის. იგი გვიჩვენებს კოლოსალურ სხვაობას რუსულ და ანგლოსაქსურ ცივილიზაციებს შორის. და ეს სხვაობა მოჩანს რუსი პოლიტიკოსის სტალინისა და ინგლისელი პოლიტიკოსის ჩერჩილის მორალურ სახეს შორის.

ახლა 1944 წლის დეკემბრის დასაწყისიდან გადავინაცვლოთ 1945 წლის გამარჯვებულ მაისში. გაზაფხული, გამარჯვება, მშვიდობა. არა, პოლიტიკაში არასოდეს არაა არც გაზაფხული, არც მშვიდობა. გამარჯვება — ხდება, მაგრამ უმალვე მის შემდეგ იწყება ბრძოლის ახალი რაუნდი. როდესაც კვლავ დაგვიწყებენ საუბარს „სისხლიან სტალინზე“, ვისაც მთელი ევროპის ხელში ჩაგდება უნდოდა, გაიხსენეთ ის ფაქტები, რაზეც ახლა დავიწყებთ საუბარს. ეს მითები რომ გავფანტოთ, კვლავ დაგვჭირდება შარლ დე გოლის მემუარების ტომი. ვინაიდან ახლა საუბარი დაიწყება ისეთ მოვლენებზე, რომლებიც დღეს ძალიან ცოტამ თუ იცის...

„როგორც კი მიჩუმდა საარტილერიო ქუხილების ექო, მკვეთრად შეიცვალა მსოფლიო. ძალებისა და ემოციების დაძაბულობას, რომლებითაც ხალხი ომს აწარმოებდა, უმალვე არ დაუკარგავს მკაფიო მიზანი. პირიქით, მკაფიო ფერებით აყვავდა სახელმწიფოთა ამბიციები და მათი ურთიერთმიზიდულობა. გაქრა პატივისცემა და თავაზიანობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად რჩებოდა მოკავშირეებს შორის საერთო მტრის წინაშე. გუშინ იყო ბრძოლების, დღეს — ანგარიშების დრო“.

ვის შესახებ წერს შარლ დე გოლი? აი რა. დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა, გაეთამაშებინა ლამაზი ოპერაცია, რომელიც მეტად გვაგონებს იმას, რაც უკვე შევიდა ისტორიაში სახელწოდებით „არაბული გაზაფხული“. ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მეორე მსოფლიო ომი, რომ ინგლისმა გადაწყვიტა გამოედევნა საფრანგეთი ახლო აღმოსავლეთიდან. მიზნები, რასაც ისახავდა ამ დროს ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი, იყო რამდენიმე: ჯერ ერთი, ხელში ჩაეგდო საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიები (ესე იგი კოლონიები), მეორეც, შეექმნა დიდი სირთულეები საფრანგეთისთვის, გამოეწვია არამყარი დე გოლის გადაყენება „საგარეო პოლიტიკაში ჩავარდნისათვის“ და „მოკავშირეებთან დავების გამო“. ლონდონის მიერ დასახული მიზნების მიღწევის მეთოდები გასაოცრად მოგვაგონებს იმ მოვლენებს, რაც პირდაპირ ჩვენს თვალწინ ვითარდება დღეს არაბულ სამყაროში. და ამიტომ ისინი ჩვენთვის უფრო მეტად საინტერესოა. ყოფილი და მიმდინარე მოვლენების სრული გაგებისთვის უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ და როდის გამოჩნდნენ ფრანგები ახლო აღმოსავლეთში. პირველ მსოფლიო ომამდე მთელი ეს რეგიონი პრაქტიკულად შედიოდა თურქეთის იმპერიაში. (თუ უკვე არ იყო ინგლისის კოლონიები — როგორც ეგვიპტე). სწორედ არაბების დამოუკიდებლობის სურვილზე აგებდნენ თავის პოლიტიკას ბრიტანეთის სპეცსამსახურები, თურქეთის არმიის ზურგში იწვევდა აჯანყებებს ომის დროს. სახელგანთქმული ბრიტანელი მზვერავი ლოურენს არაბელი აწყობდა თაობათა აჯანყებას „თავისუფლებისათვის ბრძოლაში“. და აი ეს თავისუფლება მოვიდა საოკუპაციო ინგლისური და ფრანგული ჯარების სახით და აღმოჩნდა სულაც არა ისეთი, როგორც ის წარმოედგინათ არაბებს, როდესაც თურქეთის ჯარებს ეომებოდნენ. ჯერ კიდევ 1917 წელს, როდესაც მსოფლიოს დაყოფისთვის ემზადებოდნენ და რომელშიც არ იყო რუსეთი და აი, უნდა გამქრალიყო გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და თურქეთის იმპერია, ლონდონმა და პარიზმა ხელი მოაწერეს საიქს-პიკოს შეთანხმებას. მოკავშირეებმა ერთმანეთში გაიყვეს ახლო აღმოსავლეთი: დიდმა ბრიტანეთმა მიიღო მანდატი ერაყზე, პალესტინასა და ტრანსიორდანიაზე, საფრანგეთმა — სირიასა და ლიბანზე. მოდით, სიტყვა „მანდატი“ ნუ შეგაშფოთებთ, ეს ისეთივე ევფემიზმია, როგორც „დემოკრატია“ და „სიტყვის თავისუფლება“ პლანეტის დღევანდელი ლიდერების ლექსიკონში. არაბული ქვეყნები ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიები გახდნენ, თავად არაბეთის სახელმწიფოებში დამყარდა მარიონეტული რეჟიმები. ამ დროს ახალი სახელმწიფოების საზღვრები იხაზებოდა სრულიად თვითნებურად. ახალი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების მეთაურებად ინგლისელები ნიშნავდნენ ტომების ბელადებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ თურქებთან ბრძოლაში ან უბრალოდ მიემგზავრებოდნენ აქლემებით საჭირო ადგილზე საჭირო მომენტში. ახალი ქვეყნისთვის მთავარი ხომ ყოველთვის იყო საყოველთაო აღიარება, იგი კი, ეს აღიარება, იმ მომენტში (როგორც ახლაც) იყო ლონდონი და პარიზი. ჩვენ თქვენ გაღიარეთ — თქვენ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ხართ. ქვეყნების შექმნის ასეთი წესი დღემდე საკვები ბულიონია კონფლიქტებისა და ომებისათვის ახლო აღმოსავლეთში.



დე გოლისთვის პირველ საგანგაშო ზარი გახდა ინგლისელების მოულოდნელი სურვილი — მოეხდინათ სირიაში ადრე ეგვიპტეში განლაგებული დივიზიის პერებაზირება. ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის ელჩთან დაფ კუპერთან შეხვედრის დროს საფრანგეთის მეთაურმა თქვა, რომ დიდი ბრიტანეთი ერევა ჩვენს ურთიერთობებში სირიისა და ლიბანის სახელმწიფოებთან. მიაქციეთ ყურადღება შეხვედრის თარიღს — 1945 წლის 27 აპრილი. ადოლფ ჰიტლერი ჯერ ისევ ცოცხალია, ჯერ კიდევ არ მოუკლავს თავი თავის ბუნკერში, ინგლისელები კი უკვე იწყებენ ინტრიგების ჩამარხვას მსოფლიოს მომავალი კონფიგურაციის შესახებ, ცდილობენ, თავიანთი სავსებით დემოკრატიული ფრანგი მოკავშირეების ღვეზელს ჩამოაჭრან ნაწილი. დე გოლს ესმოდა საით მიდიოდა საქმე და 1945 წლის 30 აპრილს საფრანგეთის საზღვაო ფლოტის მინისტრს უბრძანებს, დაუყოვნებლივ გაგზავნოს ლიბანსა და სირიაში ჯარისკაცების ოთხი ბატალიონი სამხედრო კრეისერებით. იმავე დღეს (!) ბრიტანეთის ელჩს მისი თხოვნით ღებულობს საფრანგეთის ხელმძღვანელი. დაფ კუპერი „დაბეჯითებით სთავაზობს საფრანგეთის მთავრობას ან უარი თქვას ამ განზრახვაზე, ან დათანხმდეს თავისი ჯარების გაგზავნაზე სავაჭრო ხომალდებით“. შარლ დე გოლისთვის აბსოლუტურად იყო გასაგები, თუ რა მიზნებს ისახავდნენ ინგლისელები, და იგი უარყოფს მათს წინადადებას, პირდაპირ ეუბნება ელჩს, რომ ლონდონი ცდილობს, გამოაძევოს საფრანგეთი რეგიონიდან. ეს ყველაფერი ჩაწერილია საფრანგეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწის მემუარებში:

„ლონდონი გვთავაზობდა გაგვეგზავნა ჩვენი მაშველი ჯარები არა ბეირუთში, არამედ ალექსანდრიაში სავაჭრო გემებით, რომლებსაც ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცემდნენ ბრიტანული სამსახურები. ეჭვი არ იყო, რომ ასეთ პირობებში ჩვენი ჯარისკაცები ვერასოდეს ვერ ჩავიდოდნენ დანიშნულების ადგილზე“.

ლონდონი აგზავნის სირიაში თავის ჯარებს და მოითხოვს, რომ იქ საფრანგეთმა არ გაგზავნოს თავისი ჯარისკაცები. პარიზი იწყებს წინააღმდეგობის გაწევას დიპლომატიური ხერხებით. 1945 წლის 4 მაისს საფრანგეთი კატეგორიულ პროტესტს უცხადებს დიდ ბრიტანეთს და მოითხოვს მისგან განმარტებას ბრიტანეთის დივიზიასთან დაკავშირებით, რომელსაც ეგვიპტიდან ლიბანში აგზავნიდა მანევრებისათვის. პასუხად ჩერჩილი 1945 წლის 5 მაისს დე გოლს უგზავნის წერილს, რომელშიც მიუთითებს, რომ ბრიტანეთის ჯარების დისლოკაცია ხდება, „რათა თავიდან აიცილონ დარღვევა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოკავშირეების კავშირურთიერთობას საბრძოლო მოქმედებების თეატრთან ინდოეთსა და ახლო აღმოსავლეთში“. ეს წმინდა წყლის ბიუროკრატიული პასუხია — მართალია, იაპონიასთან მიდის ომი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში არასოდეს ყოფილა არც ავიათავდასხმები, არც მოწინააღმდეგის ხომალდები. როგორც არ ყოფილა არანაირი მღელვარება სირიასა და ლიბანში (1941 წლიდან).

სირიასა და ლიბანში ფრანგებს ჰყავდათ სულ 5 ათასი ჯარისკაცი (მათი ნაწილი სენეგალელები არიან) და რვა თვითმფრინავი. ამას გარდა, არის 18 ათასი „სპეციალური ჯარები“ — რაზმები, რომლებიც შეგროვილია ადგილობრივებისგან. მთელი ომის განმავლობაში ეს საკმარისი იყო, ვინაიდან იყო სიწყნარე. მაგრამ ხუმრობა ისაა, რომ ახლა ინგლისელები იწყებენ წყლის ამღვრევას და არაბებს შორის მღელვარების პროვოცირებას, მაშასადამე, არაბული ნაწილები ხდებიან არასაიმედოები. უკვე აპრილის დასაწყისში სირიის მთავრობამ დაიწყო მოთხოვნა — გადაეცათ მისთვის საკონტროლოდ „სპეციალური ჯარები“ და სწორედ ამ ვითარებაში საფრანგეთმა გადაწყვიტა გაგზავნოს რეგიონში თავისი სამი ბატალიონი. როგორც გვახსოვს — ინგლისი მკვეთრი წინააღმდეგი იყო. რატომ? იმიტომ, რომ არ შეიძლება მისცე დე გოლს იმის საშუალება, რომ მიიყვანოს ძალები იმ აჯანყების ჩასახშობად, რომელიც მზადდება. სწორედ ამიტომ თავის 1945 წლის 5 მაისის წერილში ჩერჩილი მოითხოვდა „უარი ეთქვათ მაშველი ჯარების გაგზავნაზე, უღალატონ დამასკოსა და ბეირუთის მთავრობების სპეციალურ ნაწილებს“. წერილის ბოლოს ის გამოთქვამდა იმედს, რომ საფრანგეთის მოქმედებები „დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ დამატებითი გართულებები ჩვენს ურთიერთობებში“.

„ძნელი იყო შემცდარიყავი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. თუ ჩერჩილი ამზადებს ჭექა-ქუხილს და ელვას 2500 ფრანგი ჯარისკაცის გაგზავნასთან დაკავშირებით იქ, სადაც უკვე იმყოფება 60-ათასიანი ბრიტანული ჯარი, რომელსაც უნდა შეუერთდეს 15 ათასი კაცი და 2 ათასი საბრძოლო მანქანა ჰაერიდან მხარდასაჭერად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისელები სერიოზულ მიზნებს ისახავენ“, — წერს საფრანგეთის ხელმძღვანელი თავის მემუარებში. ამიტომ 1945 წლის 6 მაისს საპასუხო წერილში ჩერჩილისადმი დე გოლი წერს, რომ ბრიტანეთის დივიზიის ხელახალი დისლოკაცია „უადგილოა და ყოველგვარი მწუხარების ღირსი“.

და მაშინ დაიწყო 1945 წლის ნიმუშის „არაბული გაზაფხული“, ლონდონიდან კარნახით. 1945 წლის 8 მაისს ამოქმედდა ძალა. აჯანყების დაწყების დღე შემთხვევითი არაა — ესაა გერმანიის კაპიტულაციის დღე. ყველაფერი ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში დაიწყო. დაიწყო „სრულიად შემთხვევით“, იმ ბრიტანული დივიზიიდან, რომელიც მზრუნველურად იქნა ჩაყვანილი მანევრებისათვის. ამ დივიზიის არაბი ჯარისკაცები **„საზეიმო მსვლელობის დროს გაიძახოდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს საფრანგეთის მისამართით. მომდევნო დღეებში მოხდა რამდენიმე თავდასხმა ფრანგებზე სირიის მთელ რიგ ქალაქებში ჟანდარმერიის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ეს ჟანდარმერია, სანიმუშოდ რომ ითვლებოდა, როდესაც საფრანგეთის ხელისუფლებას ემორჩილებოდა, უმალვე გარდაიქმნა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ გადაეცა სირიის მთავრობის იურისდიქციის ქვეშ, ვინაიდან, ჩვენი წარმომადგენლების გაფრთხილების მიუხედავად, მისი შეიარაღება ინგლისელებმა დაიწყეს... ეს იყო ის, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა ანტიფრანგული გამოსვლების ორგანიზაციისა და მხარდაჭერისათვის“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-143

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

◎ გამოიცა

დაბრუნება ჯოჯოხეთურ სიმართლესთან

2016 წელს 70 წელი შესრულდა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პროცესისა, რომელიც „ნიურნბერგის პროცესის“ სახელითაა ცნობილი. ჩემს ბავშვობაში, მაშინ, როდესაც ფაშიზმის საშინელებებს თითქმის ბოლომდე არ ჰქონდა ფარდა ახდილი საზოგადოების ფართო მასებისათვის, ჯერაც არ იყო გასაჯაროებული დოკუმენტური მასალების უმეტესობა, თუ რა საშინელება ჩაიდინა მე-20 საუკუნის შავმა ჭირმა — ფაშიზმმა მსოფლიოს წინაშე, წიგნის თაროებზე გამოჩნდა საოცარი წიგნი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა, ნიურნბერგის ისტორიული პროცესის მონაწილისა, ბატონ **მიხეილ კვესელავასი — „ასერგასის დღე“**. მახსოვს როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ეს სქელტანიანი სამტომეული და რა შიშჩამდგარი თვალებით ვკითხულობდით ჯოჯოხეთურ ისტორიებს.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ გადაწყვიტა „ასერგასის“ გამოქვეყნება (თუ არ ვცდები, ამის მცდელობა 90-იან წლებშიც იყო და მკითხველმა მხოლოდ ორი მცირეფორმატიანი წიგნი მიიღო, შემდგომ კი გამოცემა შეწყდა). მაგრამ ამჯერადაც გარემოებათა გამო ეს პროექტი დროებით შეჩერდა. ამჯერად, ნიურნბერგის პროცესის 70 წელთან დაკავშირებით გამომცემლობამ გამოაქვეყნა მიხეილ კვესელავას ნაწარმოების მეტად დრამატული სიუჟეტი, ნაწილი დიდი ტრილოგიისა — დანაშაული და სასჯელი, სათაურით **„ნიურნბერგის პროცესი“**, ბატონი **რეზო კვესელავას** შესანიშნავი წინასიტყვაობითა და რედაქტორობით, უნიკალური საარქივო ფოტომასალით.

შესავალში ვეცნობით, თუ როგორ იქმნებოდა ეს დიდი ნაწარმოები-მსჯავრდება პროცესის თვითმხილველის მიერ, როგორ კითხულობდა ჯერ კიდევ მელანშეუშრობელ ფურცლებს ბატონი მიხეილის ძმა, გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი დავით კვესელავა. მიხეილ კვესელავამ შეძლო ხელისგულზე დაედო მკითხველისათვის ომის საშინელება, ადამიანის უსაზღვრო სისასტიკის გამოხატულება, ფაშიზმის საშინელებები. იგი მოქმედებდა პრინციპით — ყველაფერს ვერ დაწერ, მაგრამ რასაც დაწერ, სიმართლე უნდა იყოსო.

„ინტელექტის“ მიერ გამოცემული „ნიურნბერგის პროცესი“ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფინალია. ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და ერთგულად იცავს პრინციპს „Audi alteram partem!“ **(მოუსმინე სხვა მხარესაც!)**. ვინ არის სხვა მხარე? ამ შემთხვევაში ფაშისტები... და ავტორიც უსმენს მათ, სრულად გვაწვდის მათ შეხედულებებს, პრინციპებსა და აღსარებებსაც. არადა, ეს „სხვები“ ხელწამოსაკრავი, რიგითი პიროვნებები არ არიან. ნაცისტ იდეოლოგთა შორის ისეთი „გამორჩეულნი“ გახლავან, როგორებიც არიან როზენშტოკი, როზენბერგი, კარლ ჰაუსჰოფერი, იუნგი, იოსტი. ავტორი თავად შეხვედრია ჰაუპტმანს და კელერმანს, მონაწილეობას იღებდა თვით გერინგისა და როზენბერგის დაკითხვებში. ახლა, როდესაც აქ ჩამოთვლილთა უმეტესობის მემუარები, ჩანაწერები, სხვადასხვა მოგონებები რამდენიმეჯერაა გამოცემული, გადაღებულია უამრავი, სრულყოფილი დოკუმენტური კინომასალა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ, როდესაც ბატონი მიხეილის „ასერგასის“ დღე გამოვიდა. „ნიურნბერგის პროცესი“ იმ უამრავი დოკუმენტური მასალისგან არამარტო იმით გამოირჩევა, რომ თვითმხილველის მიერ არის აღწერილი, არამედ იმითაც, რომ შესანიშნავი ენით, გააზრებული სიუჟეტითაა წარმოდგენილი და სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოებია.

„არ ვიცით, უფალმა შეუნდო თუ არა მათ დანაშაული, მაგრამ ადამიანებმა რომ არ შეუნდეს, ეს ვიცით. ვერც შეუნდობდნენ, რადგან ნაცისტებმა უღალატეს ადამიანებს. მწერალმა ოთარ ჩხეიძემ ბრძანა — „ძნელია იყო ადამიანი და არ იყო ადამიანიო“. „ნაცისტები ამ სიბნელეში აღმოჩნდნენ“, — წერს წინასიტყვაობაში ბატონი რეზო კვესელავა.

იმედია, „ნიურნბერგის პროცესის“ (ქართველი მონაწილის თვალით) ეს გამოცემა გაარღვევს მოჯადოებულ წრეს და გამომცემლობა „ინტელექტს“ საშუალება მიეცემა, სრულად მიაწოდოს ქართველ მკითხველს მიხეილ კვესელავას „ასერგასის დღე“, რომლის გამოცემიდან, თითქმის ნახევარი საუკუნეა გასული.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ოქროს კერპი

სამხედრო მუსიკის თანხლებით...

1930-იანი წლების დასაწყისში, საბჭოეთის სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ (ГПУ) ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში იქაური მოსახლეობებიდან ვალუტისა და ოქროს ამოღების დიდი ოპერაცია ჩაატარა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეკისტებმა ეს ღონისძიება გარკვეულწილად თეატრალური „შეფუთვით“ ჩაატარეს.

ერთ მშვენიერ დღეს, მოსკოვის რამდენიმე, მათ შორის, ერთ-ერთ უდიდეს ტრუბნი ბაზრობაზე, ერთდროულად სოლიდური შესახედაობის მძიმეპორტფელიანი „ძიები“ გამოჩნდნენ. თითქოს, ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, მათთვის უმალ გაჩნდა მოხერხებული მაგიდები და სკამები, რომლებშიც ისინი დინჯად მოკალათდნენ, შემდეგ პორტფელებიდან... ოქროს თუმნიანებით სავსე ტოპრაკები ამოიღეს და ვაჭრობა დაიწყეს. იმხანად, შავ ბაზარზე ოქროს თუმნიანი 18 რუბლი ღირდა, ახლადმოსულებმა კი მათი გაყიდვა 10 რუბლად და 60 კაპიკად დაიწყეს. თავდაპირველად ამ „ვაი-ვაჭრების“ გაკარებას ხალხი ვერ ბედავდა (ვაითუ, ამ საქმეში ჩეკისტების ხელი ურევიაო!), მაგრამ, მერე და მერე, ბევრს სიხარბემ სძლია. თუმცა არც არაფერი საგანგაშო არ მომხდარა: ერთმა გაყიდა ორი ცალი, განზე გავიდა, იქვე 18 რუბლად იყიდა, მას მეორე, მესამე, მეათე მიჰყვა და... ყველამ ხეირი ნახა.

ჰოდა, გაჩაღდა არნახული ვაჭრობა!

იმ ტომსიკების პატრონები (სინამდვილეში კი ისინი სახელმწიფო ბანკის სანდო თანამშრომლები იყვნენ) ძალიან დიდი ზარალით ვაჭრობდნენ, სამაგიეროდ, ყველა დამალულმა ოქროთი მოვაჭრემ თავი გამოყო და როგორც ფუტკრები თაფლს, ისე მიეძალა იაფად ოქროს ყიდვას.

მაგრამ, რომ იტყვიან, „ეს სოფელი დიდხანს გაახარებს ვინმეს განა?“ — ყველაფერი მალევე დასრულდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა გაცხოველებული ვაჭრობა იყო გამართული, ტრუბნი ბაზრობის მიმდებარე ქუჩაზე... სამხედრო ორკესტრის ხმა გაისმა, რომელსაც „გეპეუს“ ცხენოსანი სამხედროების რაზმი მოჰყვებოდა. ყველაზე გამოცდილი ქორვაჭრები, რომლებიც, ცხადია, მთელ ბრბოსთან შედარებით, გაცილებით ცოტანი იყვნენ, ბაზრობიდან უმალ გაიპარნენ, ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილი უმრავლესობა კი ადგილზე დარჩა. მუსიკოსებმა სავაჭრო რიგებს მხიარული მუსიკის თანხლებით ჩაუარეს, მათ თითქოს ცხენოსნებიც უნდა გაჰყოლოდნენ, მოვაჭრეებმა შვებითაც ამოისუნთქეს, მაგრამ... ჯარი სწრაფად საბრძოლო მწკრივებად გადაეწყო და ბაზრობის ყველა გასასვლელი ჩაკეტა. ამის შემდეგ კი სულ სხვა „მუსიკა“ აჟღერდა...

სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული „გეპეუშნიკები“ ბრბოს შეესიენ, პანიკაში ჩავარდნილმა ხალხმა ოქროს, ძვირფასეულობისა და დასტებად ვალუტის გადაყრა დაიწყო — ყველა მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდა. მაგრამ, ცხადია, ამის გაკეთება თითქმის ვერავინ შეძლო — ტრუბნისა და მოსკოვის კიდევ რამდენიმე ბაზრობაზე იმ დღეს ერთდროულად რამდენიმე ათასი კაცი დააპატიმრეს!

იმავე საღამოს ჩხრეკები და მასობრივი დაპატიმრებები მთელ მოსკოვში მოეწყო. ამ „ოპერაციის“ შედეგად სახელმწიფო ბანკმა ოქროს თუმნიანებით ხანმოკლე ვაჭრობის დროს მიყენებული მთელი ზარალიც აინაზღაურა და დიდ მოგებაშიც დარჩა. რაც შეეხება საბრალო მოვაჭრეებს, მრავალი ათასი ოჯახი პირწმინდად გაკოტრდა და დაიქცა, ასეულობით ადამიანმა კი ციხეებსა და შორეულ ბანაკებში ამოყო თავი.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

მსოფლიოში ყველაზე დიდ ალმასს ვერ ყიდიან

მსოფლიოში ყველაზე დიდი, დაუმუშავებელი ალმასი შესაძლოა, შუაზე გაჭრან. ძვირფასი ქვის მფლობელი კანადური კომპანია „ლუკარა დაიმონდი“ უკვე მეორე წელია, ალმასის აუქციონზე გაყიდვას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. ალმასს მყიდველი არ გამოუჩნდა. ალმასი 2015 წლის ნოემბერში ბოცვანაში იპოვეს.

ამერიკელებმა ლაზერული იარაღი გამოსცადეს

ამერიკელებმა პირველი ლაზერული იარაღი გამოსცადეს. ექსპერიმენტი სპარსეთის ყურეში ჩატარდა. ახალ სისტემებს სამიზნის განადგურება ბალისტიკურ რაკეტებზე 50-ჯერ სწრაფად შეუძლია. საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ობიექტებს ლაზერული იარაღი სინათლის სისწრაფით ანადგურებს. ამჯერად ლაზერული იარაღის სამიზნე უპილოტო თვითმფრინავი გახდა.

უილიამი და ქეითი ევროპაში მოგზაურობენ

კემბრიჯის ჰერცოგმა უილიამმა და ქეით მიდლტონმა ევროპული ტურნე დაიწყეს. პირველი ქვეყანა, სადაც ისინი 5-დღიანი ტურნეს ფარგლებში ჩავიდნენ, პოლონეთია. მათთან ერთად ბავშვები, ჯორჯი და შარლოტაც იმყოფებიან. სამეფო ოჯახის წევრებს ვარშავის აეროპორტში ბრიტანეთის ელჩი ჯონათან ნოტი დახვდა. პოლონეთიდან წყვილი გერმანიაში გაემგზავრება.

ქურთები რაქას უტევენ

ქურთული რაზმები რაქაზე მასირებულ შტურმს განაგრძობენ. ბოლო 2 დღის განმავლობაში „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ ისლამისტებისგან კიდევ 8 რაიონი გაათავისუფლეს. მათ კონტროლს დაექვემდებარა ჯისრ-ელ-ჯედიდის ავტომაგისტრალიც, რითაც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები გარესამყაროს მთლიანად მოწყდნენ. შეტაკებისას 30-მდე ისლამისტი დაიღუპა.

ტრამპი სახანძრო მანქანის საჭეს მიუჯდა

დონალდ ტრამპი ახალ ამპლუაში. თეთრი სახლის ლიდერი სახანძრო მანქანის საჭეს მიუჯდა. „სად არის ხანძარი? სასწრაფოდ ჩავაქროთ,“-იხუმრა ტრამპმა. კამპანია „წარმოებულია ამერიკაში“ ფარგლებში დონალდ ტრამპი სამამულო წარმოების პროდუქციას უწევს მხარდაჭერას. კამპანიის ფარგლებში მან აქცია თეთრ სახლში გამართა.

ათენში ანარქისტებმა მასობრივი არეულობები მოაწყვეს

ათენში ანარქისტთა ჯგუფმა ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მაღაზიები და სალონები დაარბია. არეულობის მონაწილეებმა ამ გზით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაპროტესტეს, რომელმაც 29 წლის ასპირანტი ანარქისტული ორგანიზაციის, „ცეცხლოვანი დაჯგფების შეთქმულების“ წევრობის გამო გაასამართლეს. ორგანიზაცია საბერძნეთში ტერორისტულ დაჯგუფებადაა გამოცხადებული.

ზამბიაში ცნობისმოყვარე ბაბუინის გამო 50 ათასი ადამიანი დენის გარეშე დარჩა

ზამბიის ქალაქ ლივინგსტონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ამის მიზეზი ცნობისმოყვარე მაიმუნი გახდა. ბაბუინი ელექტროსადგურის სახურავზე აძვრა და კაბელები დააზიანა. მას დენმა დაარტყა. ცხოველი დაღუპვას გადაურჩა, თუმცა 50 ათასამდე ადამიანს დენი ამ დრომდე არ მიეწოდება.

◎ ცხელი ზაფხული

ანაკლიაში საზეიმოდ გაიხსნა „მომავლის ბანაკი 2017“

„მომავლის ბანაკი“ საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი მოადგილე რევაზ ჯაველიძესთან ერთად, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსი გიგა გაბელაია, პარლამენტის წევრი სოფიო კილაძე, იუსტიციისა და თავდაცის სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ბანაკის ლიდერები და მონაწილეები მოწვეული სტუმრების წიაშე ფლეშმობითა და მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ანაკლიის „მომავლის ბანაკის“ პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ უკვე მეხუთე წელია ხორციელდება. ბანაკი წელს 8 ნაკადზე საქართველოს მასშტაბით 14-18 წლის 2 304 ბენეფიციარს უმასპინძლებს.

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ეროვნულმა ნაკრებმა პირველად ივარჯიშა

სლოვენიაში ჩასულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ვარჯიში გამართა. თბილისიდან მგზავრობის შემდეგ ეს გახლდათ ეგრეთ წოდებული აღდგენითი ვარჯიში, რომელზეც მოთამაშეებს ძირითადად კუნთების ტონუსში მოყვანა და მოთელვები დაევალათ.

ვარჯიშის დაწყებამდე, საღამოს ნაკრებს თორნიკე შენგელია შეუერთდა, რომელიც სლოვენიაში ესპანეთიდან ჩავიდა. „ბასკონიას“ ქართველმა ფორვარდმა მწვრთნელები და მოთამაშეები მოინახულა, ვარჯიშზეც იმყოფებოდა, თუმცა, მოედანზე მიმდინარე პროცესებში არ ჩაბმულა. შენგელია, ისევე როგორც ტრავმისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესში მყოფი ბექა ბურჯანაძე თავდაპირველად ინდივიდუალურად ივარჯიშებს.

ილიას ზუროსმა პირველად ნახა ვარჯიშში ნაკრების ახალწვეული ილია ლონდარიძე, ასევე „ბ“ ნაკრებიდან ეროვნულში გამოძახებული სხვა მოთამაშეები — ნოდარ გოგოძე და გიორგი გამყრელიძე. ვარჯიშის დაწყებამდე და დასასრულს მთავარი მწვრთნელი კალათბურთელებს მოკლედ გაესაუბრა და აუხსნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მოსამზადებელი პერიოდი ელით წინ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

„პსჟ“ ნეიმარში 222 მილიონს იხდის

ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ მზადაა კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელი ნეიმარი შეიძინოს. როგორც ესპანური მედია წერს, „პსჟ“ თანახმაა „ბარსელონას“ ფეხბურთელის კონტრაქტში ჩადებული პუნქტი დაუკმაყოფილოს და არც მეტი, არც ნაკლები 222 მილიონი ევრო გაიღოს.

ჯერჯერობით ამ წინადადებაზე კატალონიელთა პასუხი უცნობია, თუმცა, როგორც ირკვევა, „ბლაუგრანა“ არ აპირებს ბრაზილიელის გასხვისებას არანაირ ფასად და ფეხბურთელს ახალ კონტრაქტსაც უმზადებს.

ნეიმარმა გასულ სეზონში 45 შეხვედრა ჩაატარა, რომელშიც 20 გოლითა და 19 საგოლე პასით გამოირჩა.

ვენგერმა ფერგიუსონის რეკორდი დაამხო



ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა სერ ალექს ფერგიუსონის რეკორდი დაამხო. საქმე იმაშია, რომ ფრანგი სპეციალისტი „მეთოფეებს“ 21 წელია წვრთნის და 1 დღით გადაასწრო შოტლანდიელს — 7583 დღე.

აღსანიშნავია, რომ ფერგიუსონის „მანჩესტერში“ ყოფნის 6 წელი, 1986-1992 ამ გამოთვლებში არ შედის.

გასულ სეზონში ვენგერის ხელმძღვანელობით „არსენალი“ პრემიერლიგაში მე-5 პოზიციას დასჯერდა და მომავალი სეზონიდან ევროპა ლიგაზე მოუწევს თამაში.



„იუვენტუსის“ ახალწვეულნი

იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ დღეს ერთბაშად ორ ფეხბურთელს დაიმატებს. Gazzetta Dello Sport-ის **ინფორმაციით, „ბებერი სინიორას“ რიგებს ლონდონის „არსენალის“ მეკარე ვოიცეხ შჩესნი და „მილანის“ მცველი მატია დე შილიო შეავსებენ.**

ორივეს ტრანსფერი გადაწყვეტილია და მათ ტურინში დღეს ელოდებიან. დე შილიოს ტრანსფერი „იუვეს“ 12 მილიონი ევრო დაუჯდა, ისევე როგორც შჩესნის, თუმცა, პოლონელის სანაცვლოდ 3 მილიონის ბონუსად დამატება მომავალს წელსაც მოუწევს.

უცნობია დე შილიოს პირადი კონტრაქტი, ხოლო „არსენალის“ აწ უკვე ყოფილი მეკარე წელიწადში 4 მილიონ ევროს მიიღებს. როგორც იტალიური მედია წერს, წელს იგი ჯიჯი ბუფონის დუბლიორი იქნება, ხოლო მისი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ძირითადი მეკარე გახდება.

აღსანიშნავია, რომ შჩესნიმ ბოლო ორი სეზონი „რომას“ რიგებში გაატარა იჯარით, დე შილიო კი „მილანის“ აღზრდილია და აქამდე სხვა გუნდში არ უთამაშია.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

პოლ გასკოინი საკუთარმა გერმა დაიცვა

საკუთარი „მჟავე“ ხასიათებით ცნობილი ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი პოლ გასკოინი ის კაცია, რომელზეც ბრიტანულ ბულვარულ მედიაში კარგი ბევრი არაფერი იწერება და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ კაცმა სახელი ხალხის (მათ შორის ცოლების) ცემა-ტყეპითა და ისეთი უწმაწური გინებების სიყვარულით დაიგდო — ბაკურციხელ ტაქსისტებსაც კი რომ გაუკვირდებათ.

მიუხედავად ასეთი ყიამყრალობისა, პოლ გასკოინი მისმა შვილმა, მამაზე არანაკლებ გადარეულმა მოდელმა ბიანკა გასკოინმა მაინც დაიცვა და განაცხადა, რომ მას პოლი ძალიან უყვარს და მისგან ისეთი კარგი რამეები ახსოვს, ბევრ ვითომ საუკეთესო მამას რომ ვერც კი წარმოუდგენია.

ქალიშვილს რომ მამა უყვარდეს — აბა, რა არის ამაში გასაკვირი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბიანკა პოლის გერია და მის გვარს მხოლოდ მთელი რიგი მიზეზების გამო ატარებს, გადარეულობისა და ეპატაჟურობის ხარისხით კი ბიანკა მამინაცვალს არათუ ჩამოუვარდება, ბევრად აღემატება კიდეც.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჯანმრთელობა

ჩვენი თვალთა სინათლე...

დარწმუნებული ვართ, რომ ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ახალგაზრდობის წყარო... ჩვენს გრძნობათა ერთ-ერთ ორგანოში — თვალებშია! მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, მისი ტონუსი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ როგორ მოქმედებენ მხედველობის ორგანოები. თურმე, სიმხნევეც, ენერგიულობაც და აქტივობაც ასევე თვალების მდგომარეობაზე ყოფილა დამოკიდებული.

თანამედროვე ადამიანის თვალებზე დატვირთვა ძალიან დიდია, რადგან ისინი დილიდან საღამომდე მუდამ დაძაბულნი არიან. ნაოჭები, ჩაცვენილ-ჩაშავებული უპეები, წვა — ყველაფერი ეს პრობლემის აშკარა ნიშნებია. მაგრამ, არსებობს, სხვა გამოვლინებებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხედველობასთან არანაირად არ არის დაკავშირებული.

აღმოსავლურ მედიცინაში თვალებს ახალგაზრდობის ენერგიის აკუმულატორს უწოდებენ, რადგან ისინი მას თავს უყრიან და მერე ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემას უნაწილებენ. ხოლო თუკი თვალები დაიღალა, მაშინ ეს ჯაჭვი პირველსავე ეტაპზე ირღვევა. ამის მიზეზის მოუცილებლად შედეგის (აპათიის, საერთო სისუსტის, ადვილად გამღიზიანებლობის) მკურნალობას აზრი არა აქვს. ამიტომაც, მედიკოსები საკუთარი თვალების ჯანმრთელობის მიხედვას გვირჩევენ, რის დადებითი შედეგი მთელ ორგანიზმზე აისახება.

ცრემლდენის დროს თვალები ისე იწმინდება, რომ ამას ვერანაირი თვალის წვეთების მოქმედება ვერ შეედრება. ამიტომაც, დროდადრო თვალების დასანამავად მთქნარება მეტად სასარგებლოა, მაგრამ უმჯობესია უბრალოდ ტირილი, რისთვისაც ქუთუთოებზე ცოტაოდენი ხახვის წვენის წასმაც კმარა.

ცრემლის გამოყოფა — თვალებიდან ტოქსინების გამოყვანის ბუნებრივი ხერხია. ემოციების ჩახშობათა და ცრემლების შეკავებას მავნე ნივთიერებათა დაგროვების გამოწვევა შეუძლია. ამიტომაც, თავს ნუ შეიკავებთ, იტირეთ და თვალები ჯანმრთელი გქონდეთ — ეს ნერვული სისტემისთვისაც კარგია და მთლიანად ორგანიზმისთვისაც სასარგებლო.

მხედველობის აღდგენაში თვალების საგანგებო ვარჯიშები დაგეხმარებათ. მხედველობითი დაძაბულობის მოსახსნელად მედიკოსები რამდენიმე ვარჯიშის შესრულებას გვირჩევენ.

• თვალები მაგრად დახუჭეთ და შემდეგ უცბად გაახილეთ. შეიგრძენით გაჭიმვა, მერე თვალები კიდევ უფრო ფართოდ გაახილეთ და წარბები აზნიქეთ. ვარჯიში ხუთჯერ გაიმეორეთ.

• ღრმად ჩაისუნთქეთ და ქვევით დაიხედეთ. შემდეგ თვალები ათჯერ სწრაფად დაახამხამეთ.

• თვალები დახუჭეთ და თვალის კაკლები 20-ჯერ ჯერ მარჯვნივ, შემდეგ ამდენჯერვე მარცხნივ დაატრიალეთ. იგივე ვარჯიში ამდენივეჯერ თვალებგახელილმა გააკეთეთ.

• მზერა ჯერ ცხვირის წვერზე შეაჩერეთ, შემდეგ შორს გადაიტანეთ. ვარჯიში 20-ჯერ გაიმეორეთ.

• იოგების ერთ-ერთი მძლავრი და პოპულარული ვარჯიშია სანთლის ალი. იგი არა მარტო მხედველობის გაუმჯობესების, არამედ შინაგანი ენერგიისა და ინტუიციის დონეების ამაღლების საშუალებას იძლევა. ჩაბნელებულ ოთახში ზურგასწორებული დაჯექით. 40 სანტიმეტრის მოშორებით დაიდგით ანთებული სანთელი, რომლის ალი ზუსტად თქვენს თვალწინ უნდა იყოს. თვალები დახუჭეთ და მოდუნდით. როცა სიმშვიდეს იგრძნობთ, თვალები გაახილეთ და მზერა სანთლის პატრუქზე გაამახვილეთ. მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. როცა თვალები დაგეღლებათ ან აგეცრემლებათ, დახუჭეთ ისინი, მაგრამ აზრით, გუნებაში სანთლის გამოსახულება (წარბებს შუა წერტილში) შეინარჩუნეთ. როგორც კი გამოსახულება გაქრობას დაიწყებს, თვალები გაახილეთ და მზერა კვლავ სანთლის ალს მიაპყარით. ვარჯიშის დროს ზურგი სწორად გეჭიროთ, ისუნთქეთ თანაბრად და ნუ დაიძაბებით. ვარჯიში ჯერ სამი წუთის განმავლობაში შეასრულეთ, შემდეგ დრო გაზარდეთ, რომელმაც, სასურველია, 15 წუთს მიაღწიოს. ვარჯიშის გამეორება საკმარისია კვირაში ერთხელ.

თვალის კაკალში მიმოცვლითი პროცესების დაჩქარება, თვალის კუნთების გამაგრება, ასევე შინაგან ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესება შეუძლია მასაჟსაც.

თავდაპირველად მოამზადეთ ხელები: ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ, შემდეგ ხელები დაფერთხეთ, თითქოს დაძაბულობას იშორებდეთ. ხელისგულები ერთმანეთს უხახუნეთ, მანამდე, ვიდრე მასში სისხლის ნაკადის მოწოლას იგრძნობდეთ. თვალები დახუჭეთ.

• ხელისგულები ქუთუთოებზე დაიდეთ და ამ მდგომარეობაში დაახლოებით ერთ წუთს გაჩერდით. ეს ნერვებს ადუნებს, დაძაბულობას ხსნის, ზრდის სისხლის მიმოქცევას.

• ცერა თითების შუა სახსრებით დაიზილეთ ზედა ქუთუთოები, ცერა თითების გარე მხრით კი — წარბები. შეასრულეთ 18 წრიული მოძრაობა. ეს ვარჯიში მხედველობას აუმჯობესებს და თვალების დაავადებათა პროფილაქტიკას წარმოადგენს.

• თვალების გარე კუთხეებს 27-ჯერ, ხოლო შიდებს კი 36-ჯერ დააჭირეთ თითები. ამ წერტილებს კიდევ „სილამაზის წერტილებს“ უწოდებენ. მათზე ზემოქმედება სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებასა და ნაოჭების მოცილებას უწყობს ხელს.

• ორივე ხელის საჩვენებელი და შუათითებით დაიზილეთ ცხვირის გვერდითა მხარეები, უფრო მეტად მისი თვალების მიმდებარე ნაწილი. ამ დროს ცერა თითები ქვედა ყბის ჩაღრმავებაზე გქონდეთ მიბჯენილი. შემდეგ ორივე ხელის საჩვენებელი თითებით თვალის კაკლის ფუძესთან ლოყები დაიზილეთ. მასაჟი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს მხედველობის სიმკვეთრეს, ხსნის სტრესებს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

გამოსათხოვარი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იზიარებენ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ცინარიძის მწუხარებას სიმამრის

გიორგი (ჟორა) შონიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები, ნინო, შალვა დანელიები, დიმა ჯაიანი, გია შელეგია, ზამირ მაჩიტიძე, გიორგი საღარაძე თანაუგრძნობენ მარინა და რომა ლუტიძეებს დედისა და სიდედრის

ვენერა აბულაძის

გარდაცვალების გამო.

ანა დედისერთა, განსაკუთრებული გოგონა იყო

რას პყვებიან 19 წლის მოკლულ გოგონაზე

უზნაძის ქუჩაზე მოკლული 19 წლის გოგონას ანა ხელაძის ცხედარს დასავლეთში გადაასვენებენ. ანა ხელაძე ყელგამოჭრილი ორშაბათს იპოვეს. მკვლელობაში ბრალდებული ახალგაზრდა მამაკაცი სამართალდამცავებმა გუშინვე დააკავეს. ის ანა ხელაძის ბიძაშვილია. მკვლელობის მოტივზე საუბარი უჭირთ მოკლულის ახლობლებს. ისინი ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის რაიმე სახის კონფლიქტის არსებობას გამორიცხავენ.

„ჯი-ეიჩ-ენს“ ანა ხელაძის ახლობელი ესაუბრა.

„გოგონა სანამ სტუდენტი გახდებოდა, დედასთან ერთად ქუთაისში ცხოვრობდა. თბილისში ჯავახიშვილში, ეკონომიკურზე სწავლობდა, ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი იყო, 100-პროცენტიანი გრანტი ჰქონდა, კურსი უმაღლეს ქულებზე დახურა, სტიპენდიანტი, უნიჭიერესი გოგო იყო. ბიჭმა კი სწავლა დაამთავრა, გუშინ დიპლომი უნდა აეღო, ისიც კარგ სტუდენტად ითვლებოდა. თუ არ ვცდები, 21-22 წლის არის,“ — ამბობს მოკლულის ახლობელი.

მას უჭირს მკვლელობის მიზეზებზე საუბარი.

„მომხდარით თავზარდაცემულები ვართ. მკვლელობის მოტივის არანაირი ვერსია არ გაგვაჩნია. ერთად გაზრდილები არიან, თბილისშიც ერთად ცხოვრობდნენ დეიდის სახლში. კონფლიქტი არ ჰქონიათ, არც ეს ბიჭი ყოფილა რამე ისეთში შემჩნეული. ყველა შოკში ვართ. ანა დედისერთა, განსაკუთრებული გოგონა იყო. სწავლის პარალელურად სპორტით, ფარიკაობით იყო დაკავებული,“ — აცხადებს ხელაძის ახლობელი.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით იძიებს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ხმაური და დაკავება ვარდების მოედანზე

პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისთვის გაჩხრიკა და დააკავა. დაკავებულის ახლობლები კანონდარღვევაზე საუბრობენ.

მათი განცხადებით, ახალგაზრდა ბარში მეგობრის მოპედით მივიდა, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა ის მოპედიდან გადმოაგდეს, გაჩხრიკეს და დააპატიმრეს.

სამართალდამცველებს მოპედის დათვალიერებაც სურდათ, თუმცა, მეპატრონემ ამის უფლება არ მისცა. ადგილზე მცირე ინციდენტიც მოხდა. რამდენიმე ადამიანი პოლიციას დაუპირისპირდა.

დაკავებულის მეგობრების მტკიცებით, პოლიცია ნარკოტიკული ნივთიერების ჩადებას ცდილობდა. მათი განცხადებით, ახალგაზრდას პოლიციამ მხოლოდ საძილე საშუალება „ქსანაქსი“ აღმოუჩინა.

ახალგაზრდა მამაკაცი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ადვოკატი ამბობს, რომ გამოძიება ექსპერტიზის პასუხს ელოდება.

„ამოღებულია აბი, რომელიც არის თავისუფალ ბრუნვაში ანუ ურეცეპტოდ იყიდება აფთიაქებში. თუმცა, გამოძიებას უნდა დარწმუნდეს, რომ ეს არ არის ნარკოტიკული საშუალება. შესაბამისად, დანიშნულია ექსპერტიზა, რითიც დადასტურდება, რომ ამოღებული ნივთიერება არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას, შესაბამისად, გათავისუფლდება დაკავებული პირი,“ — განაცხადა ადვოკატმა გიორგი მახარაძემ.

შსს-ს ინფორმაციით, ახალგაზრდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაჩხრიკეს, რაც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას ან გადაგზავნას.

დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღებაზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა ქ. ბათუმში მდებარე ერთ-ერთ სამორინეში, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეზე გაცემული პასპორტის გამოყენებით, 9 ცალი 500-ევროიანი ყალბი კუპიურის გასაღება მოახერხა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია საერთო ჯამში 11 ცალი 500-ევროიანი ყალბი კუპიურა, ასევე ხსენებულ პირზე გაცემული როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212 - ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

დაიწყო „თელავი-ახმეტის“ გაზსადენის მშენებლობა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ კახეთის მაგისტრალური გაზსადენის „თელავი-ახმეტის“ 27 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა დაასრულა.

300 მმ დიამეტრის გაზსადენის მშენებლობა ტენდერში გამარჯვებულმა ქართულმა კომპანია შპს „hfgbl by]bybb-hbyu & rjycnhfrity“-მა განახორციელა.

„თელავი-ახმეტის“ ახალი 27 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობით მაგისტრალური გაზსადენის კახეთის განშტოების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები დასრულდა. პროექტის შედეგად გაზსადენის დაზიანებულ მონაკვეთზე 1976 წელს აშენებული 200 მმ დიამეტრის ამორტიზებული მილები ახალმა, 300 მმ დიამეტრის მილებმა ჩაანაცვლეს. ახალი მილსადენით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კახეთის რეგიონის ბუნებრივი გაზით შეუფერხებლად მომარაგება.

მშენებლობის ღირებულება 2 493 483 ლარია (მილებისა და სხვა სამშენებლო მასალების ღირებულების გარეშე).

ციხისძირში 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა იგეგმება

აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ქობულეთში, სოფელ ციხისძირში მდებარე 90135 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ყიდის.



აუქციონის პირობების მიხედვით, ინვესტორი ვალდებულია სასტუმროს მშენებლობა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში დაასრულოს, რისთვისაც მინიმუმ 20 მლნ ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ობიექტის საწყისი ღირებულება 13 მლნ 630 ათას ლარს შეადგენს და მისი გასხვისება 15 აგვისტოსთვის ჩანიშნულ აუქციონზე იგეგმება.

ზამთარი-ზაფხულში

ანომალიური ამინდები შემოეჩვია ჩვენს დედამიწას. არგენტინაში თოვს და ყინავს. ქალაქ სან-კარლოს-დე-ბარილოჩეში რეკორდული ტემპერატურა მინუს 25 გრადუსი აღირიცხა.

მეტეოროლოგები ამ ანომალიის მიზეზად რეგიონში მოსულ ე.წ. „საუკუნის ქარიშხალს“ უკავშირებენ.

უამინდობამ 25-ათასი ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა, ხოლო ადგილობრივ აეროპორტში მუშაობა შეფერხდა.

სწავლა სიბერემდეო...

ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი) მცხოვრებმა 97 წლის ჩარლზ ლუციმ სულ ახლახან დაამთავრა სკოლა და დიპლომი აიღო.

საუკუნოვანი მამაკაცი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. მას არა ერთი მედალი აქვს მიღებული.

სკოლის მიტოვება ჩარლზ ლუცის მაღალ კლასებში მოუწია, რადგან იძულებული გახდა ოჯახის შესანახად მუშაობა დაეწყო.

ვეტერანმა სკოლის დამთავრება, მხოლოდ ამდენი ხნის შემდეგ შეძლო. ოჯახის წევრები მას დიდი ენთუზიაზმით გულშემატკივრობდნენ და ხელს უწყობდნენ, რომ ხანდაზმულს ოცნება აეხდინა.

97 წლის ჩარლზი აცხადებს, რომ შესაძლებელია კოლეჯშიც ჩააბაროს.

გული არ ბერდებაო, სწორედ ასეთ კაცზეა ნათქვამი.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

არაბული ქვეყნები ყატარში ფეხბურთის ჩემპიონატის გამართვას ეწინააღმდეგებიან

დოჰას მეზობელი 6 ქვეყანა-საუდის არაბეთი, იემენი, მავრიტანია, არაბეთის გაერთიანებული საემირო და ეგვიპტე„ ფიფას მიმართავს, რომ 2022 წელს დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ყატარში აღარ გაიმართოს. ისინი აცხადებენ, რომ ყატარი არის „ტერორიზმის ბუდე“ და მას არა აქვს უფლება, საერთაშორისო დონის მოვლენას უმასპინძლოს. იქ ყოფნა საშიშია, როგორც სტუმრებისთვის, ასევე მონაწილეებისთვის, — აცხადებენ არაბული ქვეყნები.

დიპლომატიური ურთიერთობა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან ერთად, კიდევ ოთხმა ქვეყანამ ივნისიდან შეწყვიტა ყატართან. მის მთავრობას კი „ტერორიზმის სპონსორი“ უწოდა.

იქონიებს თუ არა ყოველივე ეს 2022 წლის საფეხბურთო ციებ-ცხელებაზე გავლენას, ჯერჯერობით უცნობია.

ბიონსე წლის ყველაზე შემოსავლიანი მომღერალია?

ჟურნალმა „Billboard“ გამოაქვეყნა იმ 50 მომღერლის სია, რომელთა შემოსავალმაც წელს რამდენიმე მილიონს გადააჭარბა.

ამერიკელი მომღერალი ბიონსე 62,1 მილიონი დოლარით პირველ ადგილზეა და 20 მილიონით უსწრებს მეორე ადგილზე გასულ ჯგუფს „Guns'n'roses“.

წლის დასაწყისში ამავე ჟურნალმა ბიონსე საუკეთესო მომღერლადაც დაასახელა.

გახარებულმა ბიონსემ, ამ რეიტინგის გაგების შემდეგ, როგორც იქნა სოციალურ ქსელში ახალშობილი ტყუპების სურათი გამოაქვეყნა. რითაც თაყვანისმცემლები ძალიან გაახარა.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ, 13 ივნისს მას და რეპერ ჯეი ზის ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ.

ლეგენდარული ვივიენ ლის ნივთები - სოგბის აუქციონზე

ორი ოსკარის მფლობელი, უდიდესი ინგლისელი მსახიობის, ფილმ „ქარწაღებულნის“ ვარსკვლავის, ულამაზესი ვივიენ ლის ნივთებს სოტბის აუქციონზე გაყიდიან.

წარმოდგენილი იქნება საკმაოდ დიდი რაოდენობა ნივთებისა — 250 ლოტი. ზოგიერთი მათგანის საწყისი ღირებულება 100 000 ფუნტ სტერლინგს აღემატება.

ეს რარიტეტული კოლექცია, დიდი ხნის განმავლობაში მსახიობის ოჯახში ინახებოდა. თუმცა შთამომავლებმა გადაწყვიტეს მათთან განშორება.

კოლექციაში შედის საოცარი ფერწერული ტილოები, საიუველირო ნივთები, განსაცვიფრებელი კაბები, ძველი წიგნები.

მომავალ მყიდველებს შანსი ეძლევათ მსახიობის საყვარელი, მეორე მეუღლის, ლორენს ოლივიეს ოქროს ბეჭედი შეიძინონ. აგრეთვე გაიყიდება უნიკალური ეგზემპლარი წიგნისა „ქარწაღებულნი“, რომელიც მარგარეტ მიჩელმა, საკუთარი ხელმოწერით პირადად უსახსოვრა ფილმის ვარსკვლავს.

საოცარი სილამაზის ვარსკვლავი 1967 წელს, სულ რაღაც 53 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოამზადა რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4047; ევრო - 2.7555;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1417;
100 რუბლი - 4.0575; თურქული ლირა - 0.6791;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4208;
1000 სომხური დრამი - 5.0213.

ამინდი 19 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+18	დღე	+35
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge